ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 20 იანვარი, 2021 №8 (8537) ფასი: 60 თეთრი

გიორგი მენაბდიშვილმა ბრალის დადგენილება დახია

მას პატიმრობა შეეფარდა

გვ.5

უცნობი: „2008 წელს სააკაშვილს დავპირდი, რომ ხალხს დავშლიდი, სანაცვლოდ ტელევიზიას შემპირდა“

გვ.2

გოგა ხაინდრავა: „ვინ ჰკითხავდა პატარა გრეჩიხას მიტინგის დაშლას!“

„ივანიშვილი სალომე ზურაბიშვილს არ ენდობა!“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილი ისეთი ფრთხილია, 20 წლის წინანდელი დენის ქვითარიც კი შენახული აქვს“

„იაგო ხვიჩია იტყუება და ჭორაობს“

აკაკი ბობოხიძე: „ელისაშვილმა რომ თქვა, დაფინანსებაზე უარს ვამბობო, ესეც ტყუილია“

გვ.2

„რამდენიმე თვეში გახარია პოლიტიკურ პენსიაზე გაუშვებენ“

გვ.4

ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილმა მოამზადა ნიადაგი ხელისუფლების გადაბარებისათვის“

„ივანიშვილის წასვლით ოპოზიციამ უნდა ისარგებლოს“

გვ.3

სოსო ცინცაძე; „ოცნება“ თამარ ჟვანიას ვერ შეელევა“

ვახტანგ მაისაია: „ზოგიერთ დეპუტატს ლაპარაკის უფლება არ უნდა მისცე“

გვ.4

„გახარია თუ წავიდა, „ოცნების“ მხარეს ლარსაც არავინ დადებს“

პოლიციამ გარდაბნის მუნიციპალიტეტში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

დაკავებულია 1 პირი

გვ.5

ISSN 1987-9385

2 ნუგზარ წიკლაური: „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გაზაფხულიდან იყოს მასობრივი საპროტესტო მოძრაობა“

5 შსს-მ გასულ წელს ფოთში მომხდარი მკვლელობისთვის ძებნილი პირი დააკავა

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 822 ფაქტი გამოავლინა

6 ჯო ბაიდენი ემიგრანტებს მოქალაქეობის მიღების 8-წლიან პერიოდს შესთავაზებს

„იაგო ხვიჩია იტყუება და ჭორაობს“

აკაკი ბობოხიძე: „ელისაშვილმა რომ თქვა, დაფინანსებაზე უარს ვამბობო, ესეც ტყუილია“

იაგო ნაცვლიშვილი

ალეკო ელისაშვილის „მოქალაქეების“ შემდეგ „ევროპული საქართველო“ და გიგა ბოკერია იაგო ხვიჩიას „გირჩმაც“ დაადანაშაულა შეთანხმების ჩაშლაში და თქვა, რომ მიზეზს ეძებდნენ, რომ შეთანხმება არ შემდგარიყო, რამაც ოპოზიციაში დაპირისპირების მორიგი კერა გააჩინა.

რა ხდება ოპოზიციაში და რა პასუხი აქვთ იაგო ხვიჩიას ბრალდებებზე პარტიაში? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **აკაკი ბობოხიძე** საუბრობს.

– „გირჩმაც“ „ევროპული საქართველო“ დაასახელა შეთანხმების ჩამშლელად. რა ხდება ოპოზიციაში?

– დღეს პოლიტიკური სპექტრიდან თუ ვინმეს აქვს დასავლელ პოლიტიკოსებთან მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა, პირველ რიგში, აქვს გიგა ბოკერიას და „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს. ამიტომ „ქართული ოცნების“ ამოცანაა, რომ ჩვენი პარტიის ლიდერების დემონიზება გააკეთოს. მიმაჩნია, რომ გიგა ბოკერიამ სხვებთან ერთად, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა თავის დროზე იმ კამპანიაში, რომელმაც აიძულა ბიძინა ივანიშვილი, რომ წამოსულიყო დათმობაზე და 120/30-ზე სისტემას დათანხმებოდა. „ქართული ოცნება“ დღეს ოპოზიციას ზუსტად გიგა ბოკერიასა და „ევროპული საქართველოს“ ლიდერებში ხედავს. „ოცნებას“ ფეხებზე ჰკიდია ქართველი ხალხი და მათთვის მთავარი ჩვენი დასავლელი პარტნიორების მოსაზრებებია და ზეწოლა. ვისგანაც საფრთხეს ხედავენ, იმის დემონიზებას ახდენენ და ამას აკეთებენ იაგო ხვიჩიას და ალეკო ელისაშვილის ხელით.

– „ოცნება“ სააკაშვილზე სწორებიდან უკვე ბოკერიაზე სწორებაზე გადავიდა?

– არა. სააკაშვილი საფრთხე უნდა იყოს ამომრჩევლისთვის, რათა მოხდეს ამომრჩევლის მობილიზება ივანიშვილის გვერდით, მაგრამ შიდა პოლიტიკურ წრეებს რაც შეეხება, იქ უკვე „ევროპული საქართველოს“ დემონიზება უნდა მოხდეს.

– პარტიებს აჩვენებენ ამას, რომ თქვენთვის საფრთხე ბოკერიაა?

– არა. პარტიების თავმოყვარეობაზეც თამაშობენ და საქართველოს მოსახლეობაშიც უნდათ, რომ მოახდინონ ბოკერიას დემონიზება. მე უფრო შეურაცხყოფილად ვიგრძნობდი თავს დანარჩენი პარტიების ადგილზე და მას პასუხს გავცემდი ერთი მარტივი მიზეზის გამო. ელისაშვილი და ხვიჩია ამბობენ, რომ ბოიკოტის თემას თურმე პრინციპულად იცავს მხოლოდ „ევროპული საქართველო“. დანარჩენები კი თურმე ერთს ამბობენ საჯაროდ და მეორეს ამბობენ იაგო ხვიჩიასთან. რა თქმა უნდა, ტყუილს ამბობს ხვიჩია. ის ლაპარაკობს პირველ პირში, თითქოსდა თვითმხილველია ამ პროცესების და ბოლოს ვიგებთ, რომ თურმე ეს ყველაფერი მან სხვისგან იცის. ჩვეულებრივად ჭორაობენ ეს ადამიანები.

„დასავლელ პოლიტიკოსებთან ურთიერთობა ბოკერიას აქვს და „ოცნება“ ხვიჩია-ელისაშვილის ხელით მის დემონიზებას ახდენს“

პოლიტიკოსებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, რომ მართონ ქვეყანა, ეომონ ისეთ მონსტრს, როგორიც ბიძინა ივანიშვილია და თურმე იმის უნარიც არ შესწევთ, რომ ბაქრაძის და ბოკერიას გავლენისგან დაიცვან თავი. თურმე წუწუნებენ ხვიჩასთან, რომ ცუდად იქცევა დათო ბაქრაძე, ოღონდ ამის ხმამაღლა თქმას ვერ ბედავენ. ერთადერთი გმირი გამოჩნდა ალეკო ელისაშვილი და იაგო ხვიჩია, რომლებიც დღეს გველაპარაკებიან „ქართული ოცნების“ ტერმინოლოგიით.

პარლამენტში რომ შევსულიყავით, იაგო ხვიჩიას და ალეკო ელისაშვილის როლი იქნებოდა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც დღესაა? მე არავის არ ვაკნინებ, მაგრამ საუბარია მათ პარტიულ კუთვნილებასა და რაოდენობაზე. ამ ადამიანებმა ფასი იმის გამო დაიდეს, რომ დანარჩენი პარტიები პარლამენტში არ შედიან. თან ვის წინაშე დაიდეს ფასი? – „ოცნების“ წინაშე. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ ოცნება, რომ პარლამენტში სხვა პარტიები იხილონ, რამენაირად აახდინონ და დაანგრიონ ჩვენი ერთიანობა ბოიკოტთან მიმართებაში.

– ხვიჩიამ პირდაპირ თქვა, რომ „ოცნებას“ ევაჭრება, ოღონდ პროპორციულ სისტემაზე და ისიც თქვა, რომ თქვენი პარტიისა და სხვა პარტიებისთვისაც ეს საკითხი აღარ იყო პრიორიტეტული. რატომ?

– ტყუილია. „ოცნებას“ და ზოგადად პოლიტიკურ სპექტრს არ უნდა დავუტოვოთ არც მაგალითი და არც განცდა, რომ რაღაცის დათმობის ხარჯზე ისინი შეინარჩუნებენ გაყალბებულ არჩევნებს. აქ ხომ ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს ისტორიაში უნდა დავტოვოთ თუ არა ფაქტი, როდესაც მიტაცებულ არჩევნებს რომელიმე პოლიტიკური ძალა ინარჩუნებს. ვტოვებთ ცუდ მაგალითს, რომ მივიტაცებთ არჩევნებს, გავაფუჭებთ რაღაცა 10 საკითხს და ამ 10 საკითხიდან ორის, ან ხუთის ან თუნდაც შვიდის გამოსწორების ხარჯზე შევინარჩუნებთ ძალაუფლებას. აქ ხომ საკითხი დგას ასე – ჰყავს თუ არა საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება. ამის საპირწონე ვერ იქნება რომელიმე სხვა საკითხი. გარდა ამისა, ხვიჩია ამას ხელოვნურად აბამს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. თუ ეს სისტემაა, მაშინ რატომ ვღებულობთ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობასო. ჩვენ ხომ სისტემაზე არ ვლაპარაკობთ? ივანიშვილის გამარჯვება სისტემას არ უზრუნველუყვია.

– კი, მაგრამ, აქ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. თუ საარჩევნო ადმინისტრაცია რჩება უცვლელი და ჟვანიაც კი რჩება და არაფერი იცვლება, მაშინ რა აზრი აქვს არჩევნებში მონაწილეობას, როდესაც იცით, რომ ისევ გაგიყალბებენ?

– და თუ ისეთი პოლიტიკური გარემოა შექმნილი, რომ არჩევნების გაყალბებას ვერ გაბედავს ვერავინ?!

– ასე გგონიათ, რომ ველარ გაბედავენ?

– 2012 წელს რომც გაგვებედა გაყალბება, ამის რეალური შანსი გვქონდა?!

– აქამდეც ამბობდით ოპოზიციაში, რომ 2020 წელსაც არ უნდა გაებედათ გაყალბება, მაგრამ გაბედეს.

– გაბედეს იმიტომ, რომ პოლიტიკური გარემო ჯერ კიდევ არ იყო... გაბედეს ბევრი რამის გამო. პანდემიის გამო არავის არ სცხელა საქართველოსთვის. მხოლოდ 100 დამკვირვებელი ჩამოვიდა და ა. შ. ოღონდ არ ვამბობ, რომ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა უნდა მივიღოთ, ან არ უნდა მივიღოთ. როცა მოვა პერიოდი, მაშინ უნდა შევაფასოთ მდგომარეობა. ოღონდ ვიმეორებ, არჩევნები გაყალბდა და ივანიშვილმა სისტემის გამო მოგვიგო არჩევნები ეს ორი სხვადასხვა პოსტულატია. თუ ხარვეზების გამო მოგვიგო, მაშინ მას კი არ გაუყალბებია, არამედ მოუგია ხარვეზიანი სისტემით, მაგრამ მაინც მოუგია. თუ გააყალბა, მაშინ სისტემის ხარვეზების მიუხედავადაც, მას ვერ მოუგია არჩევნები. რატომღაც წინა პლანზეა წამოწეული სისტემის ცვლილება. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ეს რა შუაშია ამ შემთხვევაში არჩევნების ლეგიტიმურობის შეფასებასთან?! რატომ გადააქვს ხვიჩიას მნიშვნელოვან, მაგრამ სხვა ინტერესებზე აქცენტირება? რაც ყველაზე მთავარია, არის ის, რომ ვთქვათ, შევედით პარლამენტში, ხვიჩია ცვლილებებს როგორ ღებულობს? „ოცნება“ ჰპირდება, რომ შემოიყვანე სხვები და მე ამ ცვლილებებისთვის მზად ვარო, მაგრამ თუ არ შეიყვანა, არ გავატარებთო. ვთქვათ შევედით, „ოცნება“ როგორ უზრუნველყოფს ამ ცვლილებებს?!

– არ შეასრულებს? ამ ეჭვს გამოთქვამთ თუ რაზე მიანიშნებთ?

– ამ პირობის შესასრულებლად „ნაციონალური მოძრაობის“ ხმებია საჭირო. თუ „ნაცმოძრაობა“ დათანხმდება ცვლილებებზე „ოცნებას“, მაშინ რა საჭიროა იაგო ხვიჩია? როცა, თუ ეს ორი პარტია შეთანხმდება, ნებისმიერი ცვლილების გატანა შეუძლიათ ხვიჩიას გარეშეც.

– იმაზე მიანიშნებთ, რომ ხვიჩია და ელისაშვილი „ოცნებას“ ერთგვარ გამტარად ჰყავს, რომ ოპოზიცია როგორმე შეიყვანოს?

– ამ ადამიანებს დავალებული აქვთ, რომ რაც შეიძლება ბევრი პოლიტიკური ჯგუფი შეიყვანონ, თუ ამას ვერ მოახერხებენ, მაშინ პოლიტიკური ფიგურები დაითანხმონ. გულზე მჯიღით ლაპარაკი, რომ დაფინანსებაზე უარი ვთქვითო, ესეც ტყუილია. ელისაშვილმა როდესაც თქვა დაფინანსებაზე უარი, თურმე იცოდა, რომ პარლამენტში შედიოდა, ანუ დაფინანსებაზე უარი თქვა, მაგრამ მას მიიღებს.

ტყუილია ხვიჩიას პოზიცია, რომ ეს პოლიტიკური ლიდერების ხელფასებია. ეს პარტიის ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხებია. ასევე ტყუილია, რომ ეს საქართველოს მოსახლეობის ჯიბეებიდან ფინანსდება. ეს ჩვენი ამომრჩევლის ჯიბეებიდან ფინანსდება. ეს სხვას არავის ეკითხება და ამას ჩვენ და ჩვენი ამომრჩეველი გავარკვევთ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – არ მინდა დავიჯერო ჭორი. – დაფინანსებაზე უარს იტყვი მაშინ, თუ ივანიშვილი არაოფიციალურ დაფინანსებას გაძლევს, თანაც უფრო მეტს, მაშინ იტყვი დაფინანსებაზე უარს, რა პრობლემაა?! ოღონდ ხვდები, რომ თუ ვერ შეასრულებ იმას, რომ პარლამენტში შეათრიო სხვა პოლიტიკური ძალა ან ფიგურები, თუ ამ ამოცანას ვერ შეასრულებენ, მათი ფასი იქნება ნული. ამიტომ არიან გაგიჟებულები. იმიტომ, რომ კარგავენ პრინციპულობას, კარგავენ ამომრჩევლის მხარდაჭერას და კარგავენ იმასაც, რაზეც გაცვალეს ეს ყველაფერი.

ჩვენ დაგვანებონ თავი, არ შევდივართ, მაგრამ თუ დააკვირდებით, ყველა პარტია ახსენეს „ნაცმოძრაობის“ გარდა. არ ვიცი, რა ამოცანის გამო, ალბათ ცდილობენ, რომ იმოქმედონ მის თავმოყვარეობაზე. ყველა პარტია ახსენეს, ზოგი თითქოს ჩვენი გავლენის ქვეშ არიან, მაგრამ ყველაზე ცუდი შეფასება „ნაცმოძრაობას“ გაუკეთეს, როდესაც საერთოდ არ ახსენეს. არ თქვეს, რა პოზიციები აქვთ, არიან თუ არა ჩვენი გავლენის ქვეშ. მონაწილეობას ღებულობდნენ თუ არა, ესეც კი არ ახსენა იაგო ხვიჩიამ. თუ ენმ არ შედის პარლამენტში, მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ როგორ ვიქცევით, ხმები არ ჰყოფნის მის გარეშე საკონსტიტუციო ცვლილებებს.

ნუგზარ წიკლაური: „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გაზაფხულიდან იყოს მასობრივი საპროტესტო მოძრაობა“

– პროტესტი იქნება ლეგალური, ლეგიტიმური და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გაზაფხულიდან მასობრივი საპროტესტო მოძრაობა იყოს, რათა ხალხმა წართმეული უფლება აღიდგინოს.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა.

– პროტესტი იყო არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე, მაგრამ ამავე დროს იყო კოვიდთან დაკავშირებული ძალიან სპეციფიკური ვითარება, როდესაც ადამიანების უმრავლესობა ცდილობდა, არ გამოსულიყო ქუჩაში, არ ჰქონოდათ კონტაქტი სხვა ადამიანებთან და ასე იცავდნენ თავს, განსაკუთრებით ისეთი ხელისუფლების პირობებში, რომლის სამედიცინო სექტორი აბსოლუტურად არ უზრუნველყოფდა ამ ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას. თუ ვინმეს ეცოტავება ხალხის რაოდენობა ქუჩაში, ის დაინახავს კიდევ უფრო მეტ ხალხს, – განაცხადა წიკლაურმა.

უცნობი: „2008 წელს სააკაშვილს დავპირდი, რომ ხალხს დავშლიდი, სანაცვლოდ ტელევიზიას შემპირდა“

გოგა ხაინდრავა: „ვინ ჰკითხავდა პატარა გრეჩიხას მიტინგის დაშლას!“

მომღერალი გია გაჩეჩილაძე (უცნობი), რომელიც წინა ხელისუფლების აქტიური და მწვავე ოპონენტი გახლდათ, 2008 წელს, შავნაბადაზე მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას იხსენებს.

ამის შესახებ მან „ტვ პალიტრის“ ეთერში, მერაბ მეტრეველთან ინტერვიუში ისაუბრა:

– არ ვჩერდებოდი და არ ვეგუებოდი გაყალბებულ საპრეზიდენტო არჩევნებს. მომინახეს მეგობარი, ვისაც დაარეკინეს და ძალიან მთხოვა, ავსულიყავი სააკაშვილთან შავნაბადაზე.

ავედი, მე და ბიძინა გეგიძე ვიყავით. იქ ისხდნენ სააკაშვილი, გივი თარგამაძე, ნიკა რურუა და ა.შ. მთხოვდა – რა ვქნა, რა გავაკეთოო?! ოღონდ ახლა შენ გაჩერდი, მეტს აღარ ვიზამ, რაც მოხდა, ისეთი აღარ ვიქნებიო. მეთქი, რა უნდა მინდოდეს, ღირსეული პრეზიდენტი მინდა იყო-თქო. არ გიჯერებ-თქო. მომეცი სიხშირე, ტელევიზია გამაკეთებინე-თქო და...– კი ბატონოო, წაიღეო.

კენია ხომ არ ვართო. ინაუგურაციაზე მილიონი სტუმარი ჩამოდის და იქ რომ სისხლისღვრა ავტეხოთ, თან ხომ იცი, არავინ არ გააშუქებს ამასო. კარგი-მეთქი. სხვა რა გზა მქონდა. სისხლისღვრაზე მაინც გამორიცხული იყო, ის ხალხი რომ წამეყვანა.

შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიცია დამარცხდა და ვინ იყო მაშინ ის ოპოზიცია, დღეს შალვა ნათელაშვილის ფანჩატურში რომ სხედან, ისინი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სიტუაციაში ვიყავით.

სატელევიზიო სიხშირესთან დაკავშირებით ინაუგურაციის მეორე დღესვე გადამაგდო. არ მინდოდა, კიტოვანის, სიგუას და იმათი სახელი დამრქმეოდა, – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

გოგა ხაინდრავა, რომელიც 2008 წელს ეროვნული საბჭოს წევრი იყო, 19 იანვარს გამოეხმაურა ამ განცხადებას.

მისი თქმით, გია გაჩეჩილაძის როლი მაშინდელ აქციებში მინიმალური იყო და გავლენას აქციის დაშლაზე ვერ მოახდენდა. ხაინდრავამ „ქრონიკასთან“ საუბარში თქვა, რომ გაჩეჩილაძე ეროვნული საბჭოს წევრი არ ყოფილა და რიგითი დემონსტრანტი იყო, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ბარდი.

– მას თუ რამე გარიგება ჰქონდა სააკაშვილთან, ეს მისი საქმეა. რა შუაშია ეროვნული საბჭო და იპოდრომის მიტინგი? ვინ ეკითხებოდა უცნობს მიტინგის დაშლას? საიდან მოიგონა ეს ამბავი და რისთვის მოიგონა, ჩემთვის გაუგებარია.

3 მარტივი ამბავია, რაც ამ სიცრუეს საფუძველს გამოაცლის.

პირველი – ინაუგურაცია იყო დანიშნული 9 საათზე და მიტინგი იპოდრომზე იყო დანიშნული 12 საათზე. იპოდრომიდან რუსთაველამდე სულ მცირე 6 კილომეტრია და იქიდან რომ ხალხი მისულიყო რუსთაველამდე, 5 საათი იყო საჭირო.

მეორე – არც ერთხელ ეროვნულ საბჭოს და მაშინდელ ოპოზიციას, „შალიკოს ფანჩატურისგან“ განსხვავებით, არანაირი ძალისმიერი მოქმედება არ განუხორციელებია. არც ერთი, 7 წლის მანძილზე. იმის მიუხედავად, რომ 100 ათას კაციანი აქციები გვქონდა მოწყობილი, იმიტომ, რომ ასეთი გადაწყვეტილება თავში არასოდეს მოგვსვლია. ასე რომ, არ ვიცი, რა დაესიზმრა და რა გარიგება ჰქონდა. თვითონ გასცეს პასუხი საზოგადოებას და თავის სინდისთან გაარკვიოს ურთიერთობა.

მაშინდელ ქართულ ოპოზიციურ სპექტრს სიხშირე არ სჭირდებოდა, იმიტომ, რომ სიხშირე თვითონ ვიყავით, ხალხი იყო სიხშირე. პატარა გრეჩიხას სიხშირე თუ სჭირდებოდა და სააკაშვილთან ჩვენ ზურგს უკან ამაზე ლაპარაკობდა, ეს მისი საქმეა და მის სინდისზე იყოს, – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი სალომე ზურაბიშვილს არ ენდობა!“

თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილი ისეთი ფრთხილია, 20 წლის წინანდელი დენის ქვითარიც კი შენახული აქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ოპოზიციის ერთმა ნაწილმა დააანონსა, რომ მესამე ძალას ქმნის. რამდენად ხმამაღალი განაცხადია, რას ფიქრობთ თქვენ?

– ეს ლოგიკურია, უნდა გაერთიანდნენ. მით უმეტეს, თუ არ შეიცვალა კანონმდებლობა. 2024 წლისთვის 5%-იანი ბარიერია და არც ერთ ამ პატარა პარტიას, რა თქმა უნდა, გადალახვის შანსი არა აქვს. შესაბამისად, ნამდვილად ლოგიკურია, რომ ვიღაც-ვიღაცები გაერთიანდნენ, თუნდაც მესამე ძალებად წოდებული.

– რამდენად იქნება რეალურად მესამე ძალა?

– გააჩნია, ვინ გაერთიანდება.

– დღეისათვის საუბარია სამ პარტიაზე: „ლელო“, „ევროპული საქართველო“ და გიორგი ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებელი“.

– თუ ჩვენ ავიღებთ სამივე პარტიის პროცენტებს, დაახლოებით 3-3% აიღეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ მიერ აღებული პროცენტები ავტომატურად შეჯამდება და მივიღებთ 9%-ს. ასე ნამდვილად არ იქნება, მაგრამ არის შანსი, რომ გადალახონ 5%-იანი ბარიერი. არა მგონია, რომ ასე მარტივად გავიდნენ, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადმოსახედიდან გამომდინარე, ასეა. თუ გავითვალისწინებთ იგივე „ევროპული

საქართველოს“ ნეგატიურ რეიტინგს და პარტიიდან სახეების წასვლასაც. ამ პარტიას მაინც განიხილავენ, როგორც ნაციონალური მოძრაობის ნაწილს, მათი ნეგატივი მოყვებათ. ასე რომ, შევხედოთ, რა იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე მომწონს, როცა მესამე ცენტრი იქმნება, რადგან, ოდესღაც ხომ უნდა დასრულდეს ბიძინას და ნაცმოძრაობის ჭიდილი ამ ქვეყანაში?!

– გიორგი ვაშაძეზე საუბრობენ, რომ მას არ აქვს მყარი პოზიცია, ხან პარლამენტში შესვლა უნდა, ხან არაო. რა გადალაგება მოხდა, რა შეიცვალა? ითქვა ისიც, რომ შალვა ნათელაშვილის ფორმატი აღარ მუშაობს და ყველა თავისას ცდილობსო.

– არ ვიცი, ვაშაძე შევა თუ არ შევა. შესვლა უფრო დიდი რისკია, ვიდრე არ შესვლა. თუ არ შედის, მაშინ გადაწყვიტა, რომ ამ პარლამენტს დიდი მომავალი არა აქვს და შესვლით უფრო მეტს დაკარგავს. ეს მომენტია და სხვა არაფერი. კომპრომატების და მსგავსი რაღაცების მე ნაკლებად მჯერა.

– ოპოზიციის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ შესაძლოა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც არ მიღოს მონაწილეობა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ოპოზიციის საბოლოო თვითლიკვიდაცია იქნებაო. რას იტყვით თქვენ?

– საბოლოო თვითლიკვიდაცია იქნება ნამდვილად! თუ ვიღაცებს იმის იმედი აქვთ, რომ მოხდება ის, რაც მოხდა 2008-2012 წლების პერიოდში, როცა ოპოზიციის დიდი ნაწილი დარჩა ქუჩაში და მერე, 2012 წელს დაემხო ხელისუფლება. სწორედ მაშინ გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილისნაირი ფიგურა. მისნაირი ფიგურა საქართველოში ნამდვილად არ ჩანს. შესაბამისად, თუ თვითლიკვიდაციის პროცესს გააგრძელებენ რაღაც სასწაულის იმედად, მე არ მგონია, სასწაული ასე მარტივად გაჩნდეს. არ ჩანს ეს სასწაული ქვეყანაში ელემენტარულად. ამის პოტენციალი არავის არ გააჩნია.

– პარლამენტის ტრიბუნის შანსი უნდა გამოეყენებინა ოპოზიციას და ქუჩაში არ უნდა დარჩენილიყო?

– ყოველთვის ამის მომხრე ვიყავი, რომ უნდა შესულიყვნენ პარლამენტში. ჩავთვალე, რომ მათ უკეთ იცოდნენ, რადგან ასე გადაწყვიტეს. მეტი ინფორმაცია ჰქონდათ, ვიდრე მე, მაგრამ როგორც გაირკვა, ბევრი ვერაფერი. მათ თუ იმის იმედი ჰქონდათ, რომ ბევრი ხალხი გამოვიდოდა ქუჩაში, მათი ინფორმაცია და ანალიზი არ გამართლდა. თუ იმის იმედი ჰქონდათ, რომ მოიგებდნენ დასავლეთის გულს, არც ეს გამართლდა. ამიტომ ფაქტია, კარგად ნამდვილად ვერ გათვალეს.

– ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. გვესმის შეფასებები, რომ ამ პერიოდისთვის ძალთა ბალანსი „ქართულ ოცნებაშიც“ გადალაგდებაო. თქვენ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ამ არჩევნებს და რა მოლოდინი გაქვთ?

– ეს არჩევნები, უფრო ოპოზიციისთვისაა მნიშვნელოვანი. დღეს თუ „ქართული ოცნების“ შიგნით ბრძოლა მიდის, ეს ადგილობრივ არჩევნებზე არა მგონია აისახოს. მით უმეტეს, როგორც ახლა ამბობენ, ბრძოლა თუ მიდის კალაძესა და გახარიას შორის, გახარიას თავისი პოლიტიკური ძალა არ გააჩნია. როგორც ასეთი, არ ჰყავს საკუთარი პოლიტიკური გუნდი. მას ჰყავს ჩინოვნიკების გუნდი, აპარატში ვინც მუშაობენ. აქ გაცილებით საინტერესოა, რას იზამს ოპოზიცია. დაჯგუფდებიან თუ რას იზამენ, ან რა შედეგს დადებენ. ეს ძალიან საინტერესოა.

– სწორედ ამ არჩევნებზე გამოჩნდება, რა შეუძლია ოპოზიციას. ანუ შეძლებს თუ არა „ოცნების“ დამარცხებას, ეს იგულისხმება?

– კი, ასეა. ამ არჩევნებზე, ასე ვთქვათ, რეპეტიცია მაინც უნდა გაიარონ. საკუთარი ძალები მოსინჯონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, არის იმის შანსი, რომ 2024 წლის არჩევნები შესაძლოა ჩატარდეს ციფრულად, რა დროსაც გაყალბების შანსი მინიმუმამდე იქნება დასული. ამიტომ დიდი შანსი აქვს ოპოზიციას, რომ 2024-ში არჩევნები მოიგოს.

– მაშინ უარი არ უნდა თქვას თვითმმართველობის არჩევნებზე.

– რა თქმა უნდა. 2024 წლის არჩევნები არის სრულიად პროპორციული, „ოცნება“ კარგავს ძალიან დიდ ბერკეტს და ფორას, რომელიც არის მაჟორიტარები. არჩევნები იქნება ალბათ ელექტრონული და ამის მერე ოპოზიციას რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს, მე არ მესმის. უნდა დაჯგუფდნენ სერიოზულად და არჩევნების მოგებაზე იფიქრონ. ოღონდ ამისთვის საჭიროა რეალობას დაუბრუნდნენ და რაღაც ზღაპრებზე არ ისაუბრონ. დამთავრდა ზღაპრებზე საუბარი. ივანიშვილი წავიდა. ახლა ეს მარჩიელობა, წავიდა თუ არ წავიდა, საფრანგეთში გარბის თუ არგენტინაში, ეს სიგიჟე უნდა დასრულდეს.

– სალომე ზურაბიშვილს აგზავნის მოსალაპარაკებლადო.

– პრეზიდენტს აგზავნის? ეს ჩემთვის უზარმაზარი აბსურდია. როგორ შეიძლება ივანიშვილისნაირი ადამიანი, ასეთ ფაქიზ და დელიკატურ თემაში მიენდოს სალომე ზურაბიშვილისნაირ ადამიანს. ივანიშვილი არის ძალიან ფრთხილი, ყოველთვის იცის, წინასწარ რას აკეთებს. ხოლო სალომე ზურაბიშვილი არის ძალიან იმპულსური ადამიანი, ის გაუაზრებელი განცხადებებით გამოირჩევა. როგორ შეიძლება, ასეთი დელიკატური საქმე მიანდოს ივანიშვილმა სალომე ზურაბიშვილს. ეს ჩემთვის აბსოლუტურად ამოვარდნილია ყველანაირი ლოგიკიდან. ეს მიანიშნებს იმას, რომ ივანიშვილის წასვლამ ძალიან დააბნია ოპოზიცია და თვითონაც არ იციან, რას ამბობენ.

– რამდენად სერიოზულად აღიქვამთ მსგავს განცხადებებს, რომ თურმე ივანიშვილი ტრამპს აფინანსებდა და ასე შემდეგ?

– ივანიშვილი რომ გამოჩნდა პოლიტიკაში 2011 წელს, ერთი წლის განმავლობაში, სააკაშვილის მთელი სახელისუფლო აპარატი მუშაობდა იმაზე, რომ ეპოვა ამ ადამიანზე რაიმე კომპრომატი, ერთი წელი ქექეს და ვერაფერი ვერ იპოვეს. ეს რას გვეუბნება? რომ ეს კაცი არის ძალიან ფრთხილი, დარწმუნებული ვარ, 20 წლის წინ გადახდილი დენის ქვითარიც შენახული აქვს. რატომ ჩაიდენდა ისეთ რამეს, რომ შარში გაეყო თავი? ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. თუ მართლა დააფინანსა, დააფინანსებდა სრულიად კანონიერად. ასე რომ, რაღაც ახალი შეთქმულების თეორია, რომ არიქა, ტრამპის გამო გაიქცა, რა თქმა უნდა, ეს სისულელეა. თავად სააკაშვილმა არ თქვა, რომ ივანიშვილი ამერიკის ელჩს შეჰპირდა, წავალო?! აქ რა შუაშია ტრამპის წაგების მერე წასვლა, ეს, მით უმეტეს, გაუგებარია.

– თავად „ქართულ ოცნებაში“ რა პროცესებს უნდა ველოდოთ? ირაკლი კობახიძე კალაძის ჩაჩოჩებას ცდილობსო.

კობახიძე კალაძის კადრია, არ ვიცი, საიდან მოაქვთ მათი დაპირისპირების ამბები

– არა მგონია ასე იყოს. პირიქით, კალაძე და კობახიძე ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან. არ ვიცი, საიდან მოაქვთ ეს ამბები. კობახიძე სულაც კალაძის კადრი იყო. დარწმუნებული ვარ, ბევრ სიგიჟეს მოვისმენთ და წავიკითხავთ, მაგრამ ყველაფერს თუ ავყვებით და დავიჯერებთ, ჩვენც გავგიჟდებით.

– 2021 წლამდე „ქართული ოცნება“ სერიოზულ ცვლილებებს განახორციელებს გუნდში, თუნდაც პრემიერის შეცვლას?

– არა მგონია, ასე მარტივი იყოს ეს ყველაფერი. მე პირიქით მგონია, რომ ეს მინისტრთა კაბინეტი დიდხანს დარჩება. შიგნიდან გადალაგება ასე მარტივად ვერ მოხდება, ივანიშვილის გარეშე. აქამდე ივანიშვილი ახდენდა ამ ცვლილებებს. ახლა კი, როგორც დატოვა, ისე უნდა იყვნენ. არა მგონია, ასე მარტივად გადაჯგუფდნენ.

„ივანიშვილის წასვლით ოპოზიციამ უნდა ისარგებლოს“

სოსო ცინცაძე; „ოცნება“ თამარ ჟვანიას ვერ შეელევა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ამბობენ, რომ გაზაფხულზე სამთავრობო ცვლილებები იგეგმება, უფრო კონკრეტულად კი, პრემიერი გახარია მიდის. ამ დროს ოპოზიცია გაზაფხულის იმედად არის. როგორ შეიძლება პროცესები განვითარდეს?

– გაზაფხულზე არა, მაგრამ ამ პოლიტიკური კრიზისის კულმინაცია, მე მაინც ვადამდელი არჩევნები მგონია. ვადამდელი არჩევნები უფრო რეალურია, მით უფრო, ივანიშვილის წასვლის შემდეგ, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ.

– ელისაშვილის და „გირჩის“ პარლამენტში შესვლა?

– ესენი რომც შევიდნენ, ვერაფერს ვერ შეცვლიან. ელისაშვილი პოლიტიკოსი არ არის. შეიძლება პოლიტიკოსი არ იყო, მაგრამ პოლიტიკური ალღო გქონდეს. დღეს, ელისაშვილი სასარგებლო იდიოტის როლშია. ნუ ეწყინება, მაგრამ ასეა. ორი კაცი შევა, არ შევა, ეს არაფერს არ ცვლის, მაგრამ შეიძლება ამან ძალიან ცუდი სამსახური გაუწიოს მთელ ოპოზიციას. და საერთოდ, იმაზე ფიქრი, რომ დღეს ელისაშვილს ან მთლიანად „გირჩს“ შეუძლია მმართველ პარტიას გამოსტყუოს ქვეყნისთვის, მოდი ასე ვთქვათ, სასარგებლო საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო სისტემა და ამას ზევიდან

დამატებული ცესკოს თავმჯდომარის, ჟვანიას ცვლილება, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

– რატომ?

– თუნდაც იმიტომ, რომ მომავალ არჩევნებზე „ქართული ოცნება“ გარეგნულად მაინც დარჩა ივანიშვილის გარეშე. მისი ერთადერთი იმედი შეიძლება იყოს არჩევნების ეს ტექნოლოგია, მოქმედი სისტემა და დამატებული თამარ ჟვანია. ამიტომ, „ოცნება“ ჟვანიას ვერ შეელევა, ისე, როგორც დედა შვილს. ამიტომ, საუკეთესო შემთხვევაში, ვინც ამბობს, ხელისუფლება ამაზე დავიყოლიე, არის სასარგებლო იდიოტი.

დღეს, ოპოზიციას ყველაზე მეტად კათარზისი სჭირდება. რაღაც მისტიურზე არ ვსაუბრობ. დიახ, დღეს, ოპოზიციას ყველაზე მეტად სჭირდება შეცდომების გააზრება და შემდეგ განწმენდა. თუმცა, ამას რომ მიხვდნენ, ამისთვის პოლიტიკოსობაა საჭირო. სამწუხაროდ, საქართველოში, შევარდნაძის მერე, პოლიტიკოსი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მხოლოდ რამდენიმე იყო.

ივანიშვილის წასვლით ოპოზიციამ უნდა ისარგებლოს. ამბობენ, არსად წასულა! კი ბატონო, შეიძლება არც წასულა, მაგრამ ეს მოცემულობა უნდა გამოიყენოს სათავისოდ ოპოზიციამ.

– როგორ?

– ივანიშვილი ღიად ვეღარ გამოჩნდება არჩევნებზე, ბილბორდებზე ვეღარ დაუდგება გვერდით ვერც ერთ კანდიდატს და ვერ იტყვის – მე მომეცით ხმა, მე ვიყრი კენჭს! ანუ ქსენია დიასახლისს ასე ღიად ვეღარ მოატყუებენ. ეს ცოტა ამბავი არ არის. ამით უნდა ისარგებლოს ოპოზიციამ.

კიდევ ერთი: როდესაც ლიდერი მიდის, ყოველთვის რთულია მემკვიდრეების ბედი. ეს ისტორიული კანონზომიერებაა პოლიტიკაში. ზოგჯერ ომი იწყებოდა და ზოგჯერ საერთოდ იშლებოდნენ. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

– თითქოს ოპოზიციას ბაიდენის ადმინისტრაციის იმედი აქვს. ამ დროს ვხედავთ, რაც ხდება ამერიკაში. მოიცლის ამერიკა ჩვენთვის?

– ახალ ადმინისტრაციას დრო დასჭირდება. ელემენტარულად დრო დასჭირდება ფორმირებისთვის. თუმცა, პრეზიდენტმა ბაიდენმა უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვიოს საქართველოს საკითხის განსახილველად, ეს ზღაპარია. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში ბაიდენი ტრამპზე უფრო მეტ დროს საგარეო პოლიტიკას დაუთმობს. მეტ დროს დაუთმობს მის მოკავშირეებს, სტრატეგიულ პარტნიორებს. ეს ყურადღება განსაკუთრებული იქნება შავი ზღვის რეგიონისადმი და, რასაკვირველია, ეს ყურადღება ჩვენც შეგვეხება. შეიძლება დახმარების გაზრდას ველოდოთ, მაგრამ რაც ჩვენ გვჭირდება ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი თავდაცვის მიმართულებით, ჩვენი უსაფრთხოების მიმართულებით, აქ მაინცდამაინც დიდი გარღვევები მოსალოდნელი არ არის.

– ამერიკის ჯარების, ბაზის განთავსება მოსალოდნელი არ არის?

– არა. ამის სურვილი ჯერ სახელმწიფოდან უნდა მოდიოდეს. ამის პოლიტიკური ნება უნდა არსებობდეს. სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას ამ ნებას მე ვერ ვატყობ. არადა, პოლიტიკური ნება ყველაზე მნიშვნელოვანია. პოლიტიკური ნების შემდეგ სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სტრატეგია და მის განხორციელებაზე უნდა იმუშაოს ყოველწუთიერად. მთავრობამ, ელჩებმა. გადახვევაა, მაგრამ უნდა ვთქვა: კარგ ელჩებს შეუძლიათ ვაქცინის შემოტანის პრობლემაც კი გადაჭრან. მათ შეუძლიათ, იმ ძლიერი სახელმწიფოების მთავრობებთან, საიდაც მივლენილები არიან, იმუშაონ. მოლაპარაკებები აწარმოონ. ბოლოს და ბოლოს, ითხოვონ თავიანთი სახელმწიფოსთვის, მაგრამ ამას დიდი პროფესიონალიზმი, დიდი შრომა სჭირდება.

„რამდენიმე თვეში გახარიას პოლიტიკურ პენსიაზე გაუშვებენ“

ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილმა მოამზადა ნიადაგი ხელისუფლების გადაბარებისათვის“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური კრიზისული ვითარება კიდევ უფრო დამუხტა ბიძინა ივანიშვილის გამოჯვნამ „ქართული ოცნებიდან“ და პოლიტიკიდან. რა მზადდება ხელისუფლებაში? რატომ და ვის ეჩქარება „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში გადაყვანა? ვისთვის იგეგმება ძალაუფლების გადაბარება? რა პროცესებია მმართველი პარტიის შიგნით? ვინ აღმოჩნდა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერს, ლევან ჩაჩუას.

ლევან ჩაჩუა:

– ბიძინა ივანიშვილი, ჩემი აზრით, ნამდვილად წავიდა თავის მიერ შექმნილი „ქართული ოცნებიდან“. უფრო ზუსტად, ბურთი და მოედანი დათმო. ამით მან ძალიან გააწბილა ის ამომრჩეველი, რომელიც ამ პარტიას ჯერ კიდევ შემორჩა. ეს ამომრჩეველი ხმას აძლევდა ბიძინა ივანიშვილს და არა კობახიძეს, მდინარაძეს, თალაკვაძეს და ვასილ მაღლაფერიძეს, რომელიც აირჩიეს პარტიის თავმჯდომარის მოადგილედ და შეიყვანეს პოლიტსაბჭოში. ივანიშვილის წასვლა გარკვეული პოლიტიკური თამაშის ნაწილია.

– რა თამაში მიმდინარეობს?

– ბიძინა ივანიშვილი წავიდა ქვეყნისთვის ძალიან მძიმე დროს. დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, თუ რა ვითარება გვაქვს ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, ჯანდაცვაში. მმართველ პარტიაში ყოველთვის იყო ინტრიგები, დაპირისპირებები და კონკურენცია. ივანიშვილის წასვლით პოლიტიკაში უფრო მეტი დაძაბულობა შეიქმნება. ერთი მხრივ, არსებობს დისკრედიტირებული ოპოზიცია, რომელიც ნათელაშვილის ოფისის სახელს უკავშირდება, მეორე მხრივ, ფაქტობრივად დავრჩით უხელისუფლებოდ. უფრო სწორად, ხელისუფლება დარჩა ხელისუფლის გარეშე. ივანიშვილმა ყველაფერი გადმოაბარა კობახიძე-თალაკვაძე-მდინარაძის ჯგუფს, რომელსაც ბევრი „ნორჩ სოროსელებს“ უწოდებს.

– ივანიშვილმა განაცხადა, ამ პარტიის მხარდამჭერიც არ ვიქნებიო. თქვენ როგორ გაიგეთ ეს გამონათქვამი?

– ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართულ ოცნებას“ აღარც დააფინანსებს. მან ასპარეზი სხვებს დაუთმო. პარტიაში გაძლიერდება განხეთქილება. ეს მეტ მიზეზს ქმნის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისათვის. სამწუხაროა, რომ ბიძინა ივანიშვილის ზეცაში აყვანილი რეიტინგი ასე დაეცა, ბოლოს კი მან დარჩენილი მომხრეებიც გაანაწყენა. 2012 წელს ივანიშვილის „ქართული ოცნება“ მოვიდა მაღალი რეიტინგით და უხვი დაპირებებით. ყველა შეუსრულებელი დაპირების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ყურადღებას გავამახვილებ გამარგინალებული ნაციონალური მოძრაობის გაცოცხლებაზე. 2012 წელს ნაციონალებიდან ზოგი გაიქცა, ზოგი დაიმალა და გარეთ ცხვირს ვერ ჰყოფდა. ივანიშვილმა მკვდარ პარტიას ახალი სული ჩაბერა და აქცია მთავარ ოპოზიციად.

– ბევრი მას ნაცმოძრაობის დაშლას აბრალებს.

– ივანიშვილმა ნაციონალური მოძრაობა დაშალა და იმავდროულად გაშალა. ამით მან დემოკრატიის „მაღალი ხარისხი“ აჩვენა უცხოეთს. ივანიშვილს პირადად მიუძღვის ბრალი იმაში, რომ სხვა მხრივაც განსაცდელები დაგვიდგა – ოჯახები ინგრევა.

– რაზე საუბრობთ?

– მიიღეს კანონმდებლობა (იუვენალური, დისკრიმინაციული კანონი და სხვა). ამ კანონების საფუძველზე შვილი შენიშვნის გამო აჭერინებს მშობელს. უამრავი ადამიანი იხდის სასჯელს ოჯახური ძალადობის ბრალდებით. ბევრი საქმე შეთითხნილია. ამ პატიმრებს არ ეხებათ ამნისტია. ივანიშვილის დროს ხალხი არა თუ ვერ გათავისუფლდა ბანკების კაბალისაგან, არამედ, უფრო ჩავარდა ბანკების ტყვეობაში. საჯარო სექტორში დასაქმებული პირების უმრავლესობას კრედიტი აქვს აღებული. ეს ხალხი დამოკიდებულია როგორც ხელისუფლებაზე, ისე ბანკებზე.

– საჯარო სექტორზე უარეს დღეში კერძო სექტორია.

– ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ადამიანებზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მათგან ქმნიან მორჩილ ელექტორატს. ადამიანი, რაც უნდა უნდოდეს სამსახურიდან წამოსვლა, ვერ მოდის იმიტომ, რომ ვალი აქვს გასასტუმრებელი. ის ხდება მიბმული მმართველ პარტიაზე.

– მმართველი პარტიის შიგნით რა პროცესებს ელით? ირაკლი კობახიძის პოზიციები მყარი უნდა იყოს, იმიტომ, რომ მას პოლიტსაბჭოშიც და პარლამენტშიც სხვებზე მეტი გუნდელი ჰყავს.

– დიახ. სწორედ ამიტომ დავიწყე ინტერვიუ კობაიძეზე, თალაკვაძესა და მდინარაძეზე საუბრით. კალაძესაც ჰყავს გუნდი მერიაში, საკრებულოში, ბიზნესში, ნაწილობრივ – პარლამენტში, მაგრამ მისი გავლენა კობახიძე-თალაკვაძესთან ვერ მოვა. ყველაზე საცოდავად გამოიყურება პრემიერი გახარია. მას გუნდიც კი არ ჰყავს, სამ-ოთხ კაცს თუ არ ჩავთვლით. არადა, რეიტინგით გიორგი გახარია სხვებს უსწრებს. პარტიაში აუტანელი მდგომარეობა იმიტომაც აქვთ, რომ პარტიის შიგნით კობახიძის კაპრიზებს და ახირებებს ადრეც ვერ იტანდნენ, როცა ის პარლამენტის თავმჯდომარე იყო. ახლა პარტიის თავმჯდომარეა და არც ახლა ეპიტნავება ბევრს მისი ჭირვეულობა და კონფლიქტურობა. გახარიას მძიმე დროს უხდება პრემიერობა. მას, ალბათ, კიდევ ამუშავებენ, რამდენიმე თვეში კი პოლიტიკურ პენსიაზე გაუშვებენ. ღმერთმა უწყის, ვისით ჩაანაცვლებენ. ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს გაერიდა და პასუხისმგებლობა ამათ აჰკიდა. ივანიშვილიც სხვებზეა დამოკიდებული. მილიონერები და მილიარდერები ყოველთვის არიან დამოკიდებული სხვა ადამიანებსა და ქვეყნებზე. მათ თავიანთი ფული და ქონება სადღაც იშოვეს, შემდეგ დაბანდეს და ა. შ.

– მაინც, რა პოლიტიკური თამაში მიმდინარეობს?

– ივანიშვილმა მოამზადა ნიადაგი ხელისუფლების გადაბარებისათვის. მან ჯერ გააძლიერა ნაციონალური მოძრაობა, შემდეგ დაანაწილა. შემდეგი ეტაპია სხვადასხვა სახელის მქონე ნაციონალებისათვის ძალაუფლების გადაცემა. ამ გეგმაზე ადრეც მისაუბრია. ხომ ნახეთ, როგორ იჩქარეს? ყველაფერი უნდა მოესწროთ ბაიდენის ინაუგურაციამდე. ჯერ ივანიშვილი გადადგა, შემდეგ სასწრაფოდ აირჩიეს კობახიძე და პოლიტსაბჭო.

– თუ არჩევნების გზით ხელისუფლების გადაცემა იგეგმება, მაშინ ქუჩის აქციები საჭირო აღარაა?

– ქუჩის აქციებს აზრი ეკარგება. თუმცა, ქვეყანას დიდი გამოწვევები აქვს. ჯერ ერთი, კავკასია ისევ ცხელი რეგიონია. ყარაბაღის კონფლიქტი საბოლოოდ არ მოგვარებულა. არავინ იცის, რა გველის. გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ სოციალურ აფეთქებას საქართველოში. თავის დამშვიდება მიზერული კომპენსაციებით უგუნურებაა. ეს არის ზღვაში წვეთი. ეკონომიკაში მდგომარეობა უმძიმესი იქნება შეზღუდვების მოხსნის შემდეგაც. ჩვენს მოძრაობას არც არეულობა გვინდა, არც აფეთქებები, კატაკლიზმები და ძალადობა. ამგვარ პროცესებში არ ვმონაწილეობთ. არჩევნებზე დავრწმუნდით, რომ მზარდი ძალა ვართ და მშვიდობიანად გვინდა საქმიანობა.

– თქვენც ხომ დაგაკლეს არჩევნებზე ხმები?

– დიახ, მაგრამ რეალობაც დავინახეთ. ერთ მაგალითს მოვიყვან. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევისაში ერთ საარჩევნო უბანზე 14 ხმა მივიღეთ. 0 დაგვიწერეს. მეორე დღესვე გავასაჩივრეთ, მაგრამ, ამაოდ. სხვების საჩივრებიც არ დააკმაყოფილა მურუსიძის სასამართლომ. ჩვენი და სხვა პარტიების ხმებს ბევრგან იყოფდნენ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ ბევრი დაგვაკლეს. მიუხედავად ამისა, 9 000 ხმაზე ნაკლები მაინც ვერ დაგვიწერეს. იმ მძლავრი პარტიების შემდეგ, რომლებმაც მილიონები დახარჯეს, შედეგებით ჩვენ მოვდივართ. „ქართულმა იდეამ“ სულ 22 000 ლარი დახარჯა. „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ერთადერთხელ გაუშვეს 5-წუთიანი კლიპი ჩვენ შესახებ. ვაჯობებთ ძველ პარტიებს, რომლებსაც ჩვენზე ბევრად უკეთესი დაფინანსება აქვთ. მათი ლიდერები ტელეეკრანებიდან არ ჩამოდიან. გვაქვს შანსი, შემდეგში უკეთეს შედეგს მივაღწიოთ. ხელისუფლებაში, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოვიდნენ პატიოსანი, დამოუკიდებელი ადამიანები და შეცვალონ სისტემა. ამას ცალკე აღებული ერთი პარტია, საზოგადოებრივი ჯგუფი ან მდიდარი ბიზნესმენი ვერ შეძლებს. აუცილებელია გაერთიანება, ასევე სტაბილურობა ქვეყანაში.

„გახარია თუ წავიდა, „ოცნების“ მხარეს ლარსაც არავინ დადებს“

ვახტანგ მაისაია: „ზოგიერთ დეპუტატს ლაპარაკის უფლება არ უნდა მისცე“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, ხომ არ არის რაიმე კავშირში სოფელ ბუკნარში რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი დაპირისპირება, ვთქვათ, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს გააქტიურებასთან? თქვენ ერთხელ მითხარით, რომ მოსალოდნელი იყო მათი გააქტიურება სხვადასხვა ადგილებში. თან ამ დაპირისპირების მთავარი გმირი წულუკიძე, თუ არ ვცდები, ჩატაევს დაუკავშირეს, როცა წულიკიძე ციხეში იყო, ჩატაევი მის გათავისუფლებას ითხოვდაო.

– ამჯერად, სოფელ ბუკნარში მომხდარს ისლამურ სახელმწიფოს ვერ დავუკავშირებ. ეს იყო შიდა, ადგილობრივი პრობლემა, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ გადაწყვიტა თუ ვერ გადაწყვიტა. ამან თავი იჩინა საკმაოდ არასასურველი ფორმით.

ეს, ალბათ, გაგრძელებაა წინა წლებში არსებული, ანალოგიური ტიპის პრობლემებისა. არ გაკეთდა შესაბამისი დასკვნები ხელისუფლების წარმომადგენლების, მმართველი პოლიტიკური პარტიის მხრიდან. მე ამ თემას უფრო ადგილობრივ, სოციალური პრობლემის კონტექსტში ვაყენებ. თუ ეს საკითხები სწორად არ იქნება გააზრებული და არ შეიქმნება სპეციალური ორგანო, რომელიც ასეთი ტიპის საკითხებს შეისწავლის, პრობლემა კიდევ თავს იჩენს.

– რელიგიათა საბჭო ხომ არის შექმნილი?

– ეგ საბჭო უმოქმედოა და, საერთოდ, დასახურია, რადგან ჩანს, თავის უფლებამოვალეობებს ვერ ასრულებს. ეგეთი საბჭო გინდ გვქონია, გინდ – არა. როცა სოციალური პრობლემა ასეთ სერიოზულ, რელიგიური დაპირისპირების დონეზე გადადის, არსებული საბჭო უნდა გააუქმო და უნდა შექმნა ახალი, უფრო ქმედითი სტრუქტურა.

– რა სტრუქტურა?

– პარლამენტში არსებობს კავკასიისა და დიასპორებთან ურთიერთობის საპარლამენტო კომიტეტი. ალბათ, მასაც უნდა მიეცეს უფლებამოსილება, რომ ჩაერთოს პრობლემების მოგვარებაში. სასურველია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო აქტიურად ჩაერთოს პროცესების დარეგულირებაში, ერთობლივი ძალებით იმოქმედონ და მთავრობას კონკრეტული რეკომენდაციები მიაწოდონ, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთი რისკების თავიდან აცილება.

– საფრთხე არსებობს?

– საფრთხეების მიხედვით სამი დონის საფრთხე არსებობს და მისგან გამოწვეული რისკი. სანამ ეს არ გადავა გამოწვევის დონეზე, სრულმასშტაბიანი საფრთხეების ფორმატში არ გადავა, მანამდე ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს.

ფრთხილად უნდა ვიყოთ. საჯარო დებატების დროს, საერთოდ, არ უნდა გამოვაჩინოთ ისეთი ტიპის ადამიანები, რომლებიც იყენებენ ტერმინებს „ქართველები და მუსლიმები“. მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა გაითვალისწინოს.

– ვერ გავიგე, რას ნიშნავს ქართველები და მუსლიმები.

– რომელიღაც დეპუტატი გამოვიდა და თქვა, ქართველები და მუსლიმებიო. ეს მე უფრო უარესი მგონია, ვიდრე რეალური გამოწვევა. ასეთ სუბიექტებს პირი უნდა ამოუკერონ, ან გამოსვლები, საერთოდ, აუკრძალონ. ასეთი ტერმინოლოგიით საუბარს, სჯობს, საერთოდ, გაჩუმდეს. ასეთი საკითხები დასარეგულირებელია. თუმცა, მე უფრო მგონია, რომ ამ გამოწვევას სოციალური საფუძველი აქვს.

– გარე ძალების ქმედებებს, გავლენას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი?

– ყველაფერი შეიძლება დავუშვათ, მაგრამ ჯერჯერობით, ვითარება რისკის დონეზეა. როცა გამოწვევის დონეზე გადავა, ვიტყვი, რომ გარე ძალები არიან ჩართულები

– გარე ძალების გავლენებზე იმიტომ გკითხეთ, რომ წლების განმავლობაში რელიგიური ექსპანსია ხორციელდებოდა თურქეთის და ზოგადად მუსლიმანური ქვეყნების მხრიდან, რომლებიც აფინანსებდნენ აჭარასა და სხვა ადგილებში მცხოვრებ ქართველებს, აჭარაში უკანონოდ ხსნიდნენ მუსლიმანურ სკოლებს, მუსლიმანურ ქვეყნებში სასწავლებლადაც მიჰყავდათ. მათი ამგვარი რელიგიური პოლიტიკის კვალი ხომ არ იკვეთება-მეთქი? 30-წლიან პერიოდს ვგულისხმობ.

– არა. სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურობდნენ, პროცესში იყვნენ ჩართულები, მაგრამ ამ ეტაპზე სიტუაცია კონტროლის ქვეშაა. თუ ხელისუფლება არავითარ ზომებს არ მიიღებს ბუკნარში წარმოშობილი რისკის აღმოსაფხვრელად, მერე უკვე ეს კარგი ნიადაგი იქნება უცხო ქვეყნის წარმომადგენლებისთვის. ისინიც თვალ-ყურს ადევნებენ სიტუაციას და შესაბამის დროს და საათს ელოდებიან. თუ პრობლემა დარჩა, რა თქმა უნდა, ისინი ამას ყველა ვარიანტში გამოიყენებენ და რისკს გამოწვევის დონეზე გადაიყვანენ.

ჯერჯერობით, სიტუაცია კონტროლქვეშაა. არსებულ ვითარებას შეიძლება რისკის შეფასება მივცეთ. მთავარია ვითარება გამოწვევის დონეზე არ გადავიყვანოთ.

– არ შეიძლება, შექმნილ რისკში რაღაც ფაქტორებით გამოწვეული შიდა და გარე პოლიტიკური ელემენტიც ერიოს? მაგალითად, 2012 წლის შემდეგ, ხელისუფლებაში „ოცნება“ რომ მოვიდა, მთელი საქართველოს მასშტაბით სწორედ ასეთი აფეთქებები იყო. თქვეს, რომ ვითარება ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა გაამწვავეს, თან ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა.

– მეც ასე ვფიქრობ. თუ სოციალური პრობლემები არ აღმოიფხვრა, ყველა სცენარი შეიძლება განვითარდეს. ასეთ შემთხვევაში თქვენ აბსოლუტურად მართალი იქნებით. გამოწვევის დონეზე გადასვლა ნიშნავს, რომ სხვადასხვა რელიგიურმა დაჯგუფებებმა შეიძლება საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ.

ბუნებრივია, ამას ხელიდან არ გაუშვებენ. ჯერ არ ვართ სტაბილური ტიპის ქვეყანა. საქართველოში ახლა უმწვავესი პოლიტიკური კრიზისია, რომელიც სახელმწიფო კრიზისში გადადის.

მით უმეტეს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა. ბიძინა ივანიშვილი იყო სტაბილურობის გარანტი. ივანიშვილი ვინმეს მოსწონს თუ არა, ეს ფაქტია. სამწუხარო რეალობაა. როცა სტაბილურობის გარანტი წავიდა და გაურკვეველი სიტუაციაა, ანუ არავინ იცის, სიტუაცია როგორ განვითარდება, სტაბილურობა ჯერ კიდევ ინერციით გრძელდება. წავიდა თუ არ წავიდა, შეიძლება დარჩა და...

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში სულ სხვა მიზეზით დაბრუნდა. ახლა, როგორც ჩანს, მართლა წავიდა.

– სტაბილურობას, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერეს რა განაპირობებს? ბიძინა ივანიშვილმა ბოლო ინტერვიუში თქვა, რომ მე მივდივარ, თუმცა, სახელმწიფო ინსტიტუტები კარგად მუშაობენო.

– არ ვიცი, სახელმწიფო ინსტიტუტები როგორ მუშაობენ. ყოველ შემთხვევაში, ეგ არ არის მთავარი. ბიძინა ივანიშვილი მაინც ერთგვარი გარანტი იყო. ჩვენ გვაქვს არასრული პოლიტიკური სისტემა. ჩვენ ვართ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანა და გარდამავალი დემოკრატიის პოლიტიკურ რეჟიმში ვცხოვრობთ. ეს სისტემა ახლა იმართება

ამასთან ქვეყანაში საპარლამენტო კრიზისია. რთული სიტუაციაა, ჩვენს ირგვლივ საკმაოდ სერიოზული გეოპოლიტიკური გამოწვევებია, არსებობს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და ოკუპაციით შექმნილი საფრთხეები. ამ ვითარებაში კიდევ სოციალური აფეთქებები ხდება, რომელიც შეიძლება გადავიდეს სავარაუდო რელიგიურ დაპირისპირებაში, ეკონომიკური სიდუხჭირეა, ქვეყანა ფინანსური დეფოლტის დონემდეა მისული. ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკური სისტემა გამართულად მუშაობს. საგარეო პოლიტიკაში ჩვენი ხმა, საერთოდ, დაკარგულია.

ოპოზიციურ პარტიებშიც დაქცეული სიტუაციაა. მმართველ პოლიტიკურ პარტიაშიც კლანური დაპირისპირებაა. ხუთი კლანია გამოკვეთილი, რომელიც ერთმანეთთან, ჯერჯერობით, ლოიალურ მდგომარეობაშია, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეიძლება ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდნენ. „ქართული ოცნება“ საკმაოდ მდგრადი და ძლიერ პოზიციებზე მდგომი პარტია იყო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი წავიდა და ისიც დაიშალა. „ოცნების“ შემაკავშირებელი ლიდერია გიორგი გახარია, რომელიც გახლავთ ეფექტური პოლიტიკოსი. მან მოიპოვა პოზიტიური იმიჯი პანდემიასთან ბრძოლის საქმეში. პანდემიას ასე თუ ისე, უმკლავდება. ეს მეორე ტალღამაც აჩვენა.

არ ვიცი, პანდემიის მესამე ტალღის ეტაპზე როგორ განვითარდება სიტუაცია. ამბობენ, რომ გახარია გაზაფხულზე წავა. თუ გახარია წავა, რაც არ არის გამორიცხული, მაშინ ვითარება გართულდება.

– გახარია წასვლას აპირებს?

– ვრცელდება ინფორმაციები, გახარია წასვლას აპირებსო.

– გახარიას წასვლა ოპოზიციას აწყობს. ამ ინფორმაციას ოპოზიცია ხომ არ ავრცელებს?

– არ ვიცი. გახარია თუ წავიდა, „ქართულ ოცნებაში“ რეალური პრობლემები იქნება. ივანიშვილის წასვლის შემდეგ გახარია არის ყველაზე ძლიერი, შემაკავშირებელი პოლიტიკური ფიგურა. თუ გახარია წავიდა, „ოცნების“ მხარეს ადამიანი ლარსაც არ დადებს.

„ტვ პირველის“ ოპერატორების ძარცვისთვის 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ძარცვის ბრალდებით, თბილისში ორი პირი: 1993 წელს დაბადებული ფ.მ. და 1994 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.კ. ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ოპერატორებს: 1999 წელს დაბადებულ გ.შ.-სა და 1999 წელს დაბადებულ ბ.ქ.-ს „ტვ პირველის“ კუთვნილი მიკროფონი გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. პოლიციამ ორივე ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ძარცვას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

56 წლის ქალი დუშეთის შშმ პირთა პანსიონატში გარდაცვლილი იპოვეს

დუშეთში, შშმ პირთა პანსიონატში ბენეფიციარი საკუთარ ოთახში გარდაცვლილი იპოვეს. ამ დრომდე უცნობია, რა გახდა 56 წლის ქალი გარდაცვალების მიზეზი, ადგილზე იმყოფებოდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, თუმცა თავშესაფრის ბენეფიციარის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

პანსიონატის დროებითი წარმომადგენელი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ 56 წლის ქალმა სადეზინფექციო ხსნარი მიიღო, რამაც სიკვდილი გამოიწვია.

– პირველად შევიდა ექთანი, მაშინვე გამოვიძახეთ სასწრაფო, მათ ბენეფიციარი გარდაცვლილი დახვდათ. გარდაცვალების გამომწვევ მიზეზებზე ვერაფერს გეტყვით, სისტემატიურად იტარებდა კვლევებს, სტაციონარშიც იწვა, მედიკამენტებსაც იღებდა, მაგრამ რიგ შემთხვევებში თვითნებურად წყვეტდა მკურნალობას. ექსპერტიზა რასაც დადებს შედეგებს, ყველასთვის ცნობილი იქნება, – განაცხადა დუშეთის შშმ პირთა პანსიონატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლია წიკლაურმა

საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

„ვბანაობდი და ცუდად გავხდი, მერე ჩემმა ძმამ გონება დაკარგა“

რა მოხდა რუსთავში

რუსთავში მე-7 მიკრორაიონში გაზით ერთი ოჯახის 3 წევრი მოიწამლა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ინტოქსიკაცია შუახნის მამაკაცმა, მისმა 24 და 17 წლის შვილებმა მიიღეს.

– სუნი და მსგავსი რამე არ ყოფილა. ვბანაობდი და მაგ დროს გავხდი ცუდად. გამოვედი აბაზანიდან და ჩემს ძმას დავუძახე, რომ წნევა გაეზომა. წამალზე რომ გავუშვი, გონება დაკარგა. ორივე რომ ცუდად ვიყავით, მაგ დროს მივხვდით, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. წამალი რომ მოჰქონდა ჩემს ძმას, მაგ დროს დავარდა მეტლახზე, ხმაურზე სამზარეულოდან მამაჩემიც გამოვიდა. მანაც მითხრა, ხმაურზე მოვედი გონს, თორემ მეც ვითიშებოდიო. სასწრაფოს გამოძახება მე მოვახერხე, – განუცხადა „ინფო რუსთავს“ ელენე ფოჩხიძემ.

სამივე პირი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

ამ დროისთვის ელენე და მამამისი ბინაზე არიან გაწერილები, ხოლო მისი არასრულწლოვანი ძმა, რომელმაც დავარდნის დროს მსუბუქი ტვინის შერყევა მიიღო, კვლავ სამედიცინო დაწესებულებაში რჩება.

ლექსუსი პატრულს დაეჯახა

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი ლექსუსის მარკის ავტომობილი საპატრულო ეკიპაჟს შეეჯახა – მძიმედ დაშავდა ორი პოლიციელი.

ლექსუსმა საგზაო მოძრაობის წესები დაარღვია და გზის საპირისპირო მხარეს გადავიდა.

სამართალდამცველები გვიან ღამით სასწრაფო დახმარების ჯგუფმა ავარიის ადგილიდან პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მეორე ავტომობილის მძღოლი დაშავებული არ არის.

ლანჩხუთში მატარებელმა 60 წლის ქალი გაიტანა

ლანჩხუთში, 60 წლამდე ასაკის ქალი მატარებლის დაჯახების შედეგად გარდაიცვალა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლის მეოთხე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

გიორგი მენაბდიშვილმა ბრალის დადგენილება დახია

მას პატიმრობა შეეფარდა

ყოფილ პოლიციელს, გიორგი მენაბდიშვილს, რომელმაც კასპში მძევლები აიყვანა, ბრალდება ოფიციალურად წარედგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მისმა ადვოკატმა ქეთევან გაგოევამ განუცხადა, გიორგი მენაბდიშვილმა დადგენილება ბრალდების შესახებ გადახია და ის კვლავ დუმილის უფლებას იყენებს.

– გამომძიებელმა რომ მიაწოდა, შეხედა დადგენილებას და გადახია. შიმშილობს, არავითარ საკვებს არ იღებს, – განაცხადა გაგოევმა.

გიორგი მენაბდიშვილმა კასპში, ერთ-ერთი საწარმოს ტერიტორიაზე, სანადირო თოფის მუქარით მძევლები 16 იანვარს აიყვანა. სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან წარმოებული რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შედეგად, მენაბდიშვილმა მძევლები გაათავისუფლა, რის შემდეგაც დააკავეს.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „ი“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლისთვის საშიში მუქარით ორი ან მეტი პირის მძევლად ხელში ჩაგდებას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 9-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

18 იანვარს გიორგი მენაბდიშვილს პატიმრობა შეეფარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა ქეთევან გაგოევამ განუცხადა,

გიორგი მენაბდიშვილმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ბრალს არ აღიარებს. ამასთან ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა წინა დღეებში და ვის მიმართა.

რაც შეეხება ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც ადვოკატი აღნიშნავს, მენაბდიშვილი სუსტად არის და თავს ცუდად გრძნობს. ქეთევან გაგოევას ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს სასწრაფო სამედიცინო დახმარება 16 იანვრის ღამეს გაეწია.

– შემდეგ, როდესაც დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს, როგორც ექიმმა მითხრა, გიორგი მენაბდიშვილს შესთავაზა კუჭის ტკივილისა დამამშვიდებელი მედიკამენტები, თუმცა მან წამლების მიღებაზე უარი თქვა. ასევე უარი თქვა საკვების მიღებაზე, – განაცხადა ქეთევან გაგოევამ.

შსს-მ გასულ წელს ფოთში მომხდარი მკვლელობისთვის ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2020 წელს ფოთში მომხდარი მკვლელობისთვის ძებნილი პირი – 1983 წელს დაბადებული ზ.ო. ქარელის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის ივლისში, ზ.ო.-მ და მისმა თანამზრახველებმა 1976 წელს დაბადებულ ვ.ტ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, ბასრი საგნისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობები მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მიღებული ჭრილობების შედეგად, ვ.ტ. კლინიკაში გარდაიცვალა.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან მალევე, ჯერ სამი პირი, ხოლო მომდევნო დღეებში კიდევ ერთი პირი დააკავა.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ასევე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განსაკუთრებული სისასტიკით ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობას და თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

ნარკორეალიზაციის ბრალდებით ქალი და მამაკაცი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული მ.ბ. და 1997 წელს დაბადებული ი.ბ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობის ფაქტზე დააკავეს.

დანაშაული 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები წარმოადგენდნენ ნარკორეალიზატორთა ორგანიზებულ ჯგუფს და ერთ-ერთი სოციალური აპლიკაციის მეშვეობით, ე.წ. დადების მეთოდით ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, 11 შეკვრად დაფასოებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება „ალფა პვპ“ ამოიღეს. საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში კი ნივთმტკიცებად ამოღებულია ბრალდებულების მიერ შემდგომი გასაღების მიზნით სხვადასხვა ადგილზე განთავსებული, 8 შეკვრად დაფასოებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება „ალფა პვპ“.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 822 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 822 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 143 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 679 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

მანქანა მოცურდა და მას მატარებელი დაეჯახა

40 წლის ცოლ-ქმარი მძიმედ დაშავდა

19 იანვარს, ნინოწმინდა-ოროჯალარის გზაზე მატარებელი მსუბუქ მანქანას შეეჯახა, შემთხვევის შედეგად მანქანაში მყოფი 40 წლის ცოლ-ქმარი მძიმედ დაშავდა, ისინი მრავლობითი ტრავმებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ახალქალაქის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანა.

სავარაუდოდ, მანქანა მოცურდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 275 მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

პოლიციამ გარდაბნის მუნიციპალიტეტში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული მ.მ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში, მასთან სტუმრად მყოფ ნაცნობს – 1994 წელს დაბადებულ გ.ჯ.-ს ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ჯო ბაიდენი ემიგრანტებს მოქალაქეობის მიღების 8-წლიან პერიოდს შესთავაზებს



აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი, ემიგრანტებს მოქალაქეობის მიღებისთვის 8-წლიან პერიოდს შესთავაზებს.

ბაიდენი საიმიგრაციო კანონპროექტის გამოქვეყნებას გეგმავს, რომელიც აშშ-ში იურიდიული სტატუსის გარეშე მცხოვრებ 11 მილიონამდე პირს, მოქალაქეობის 8 წელში მიღების საშუალებას მისცემს.

კანონპროექტის წარდგენა, რომლის მოცულობაც ასობით გვერდია, ბაიდენის ინაუგურაციის შემდეგ იგეგმება.

კანონპროექტის მიხედვით, იმ ადამიანებს, რომლებიც 2021 წლის 1 იანვრის მონაცემებით, აშშ-ში ლეგალური სტატუსის გარეშე ცხოვრობენ, ბიოგრაფიული მონაცემების შემოწმების პროცედურების გავლის, გადასახადების გადახდისა და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დროებითი ლეგალური სტატუსის ან მწვანე ბარათის მოსაპოვებლად ხუთი წელი დასჭირდებათ.

ამის შემდეგ მათ, მოქალაქეობის უფლებების მინიჭებამდე, სამწლიანი გზის გავლა მოუწევთ.

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს ჯო ბაიდენი დონალდ ტრამპის საემიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებულ ქმედებებს ამერიკულ ფასეულობებზე „უმოწყალო თავდასხმას“ უწოდებდა და აცხადებდა, რომ ამ ზიანს აღმოფხვრიდა.

ნავალნი მოსკოვში ჩასვლისთანავე დააკავეს

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი 17 იანვარს მოსკოვში ჩასვლისთანავე, საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, პოლიციამ აიყვანა.

ნავალნის ადვოკატს, რომელსაც პოლიტიკოსის დოკუმენტაცია ეკავა, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებები, მასთან ერთად წასვლის უფლება არ მისცეს. დაკავებისას ალექსეი ნავალნისთან ერთად იმყოფებოდა მისი მეუღლეც, რომელთან ერთადაც ის

მას 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს

გერმანიიდან დაბრუნდა.

ჩასვლის შემდეგ, დაკავებამდე, ნავალნიმ თქვა, ის მოხარულია, რომ დაბრუნდა სამშობლოში:

– ეს ბოლო 5 თვეში ჩემთვის საუკეთესო დღეა. არა მხოლოდ სიმართლე, სამართალიც ჩემ მხარესაა, იცით, რომ ყველა საქმე ჩემ წინააღმდეგ ფალსიფიცირებულია.

პოლიტიკოსმა ასევე თქვა, რომ თვითმფრინავის შეცვლილი მიმართულება და დაკეტილი აეროპორტი კარგი დემონსტრირებაა იმისა, თუ რა ხდება რუსეთში დღეს.

– საჭიროა ბრძოლა, – თქვა მან.

თვითმფრინავმა, რომლითაც ნავალნი მგზავრობდა, რამდენჯერმე შეიცვალა მიმართულება და საბოლოოდ არა ვნუკოვოს, არამედ შერემეტიევოს აეროპოტში დაჯდა.

18 იანვარს ნავალნის 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

არგენტინაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

არგენტინაში 19 იანვარს 6.8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი სან-ხუანის პროვინციის სამხრეთით 40 კმ-ში დაფიქსირდა.

ქვეყნის ტერიტორიაზე მიწისძვრას ნგრევა არ გამოუწვევია და არავინ დაშავებულა ან დაღუპულა.

იაპონიაში ერთმანეთს 130 მანქანა შეეჯახა

19 იანვარს მასშტაბური ავარია მოხდა იაპონიაში – მიაგის პრეფექტურაში ერთ-ერთ ჩქაროსნულ მაგისტრალზე ერთმანეთს 130 ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა და 10 დაშავდა.

ინციდენტი ძლიერმა ქარბუქმა გამოიწვია.

ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში დიდთოვლობის გამო პარალიზებულია სატრანსპორტო მოძრაობა.

ქვეყანაში ნალექის გაორმაგებული რაოდენობა მოვიდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დელ პიერომ პირლო გააკრიტიკა

ტურინის იუვენტუსის ლეგენდა ალესანდრო დელ პიერომ ტურინული კლუბის მთავარი მწვრთნელი და მისი ყოფილი თანაგუნდელი ანდრეა პირლო გააკრიტიკა. ალექსმა ინტერთან (0:2) წაგებული მატჩისშემდგომი განხილვისას ყურადღება აარონ რემზის სათამაშო პოზიციაზე გაამახვილა. უელსელი იუვეს მარცხენა ფლანგს გამოუცდელ ჯანლუკა ფრაბოტასთან ერთად ამაგრებდა, მაგრამ აშრაფ ჰაკიმიმ და ნიკოლო ბარელამ ისინი აშკარად დაჩაგრეს.

ალექს დელ პიერო:

– იუვემ ყველა ასპექტით ცუდად ითამაშა. ვერ გავიგე, პირლომ ფრაბოტას წინ რემზი რატომ ათამაშა, იმ ფლანგზე ხომ ჰაკიმი იყო, რომელიც მართლაც შთამბეჭდავია, 95-ე წუთზეც არ გაჩერებულა. ინტერმა ყოველთვის იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, იუვენტუსი კი პრაქტიკულად იდეების გარეშე იყო. იუვეში ცვლილებების პერიოდია და ეს პირლოს არ ეხმარება. ინტერმა კარგად მოახერხა ზეწოლა და თითქმის თავისი მთელი პოტენციალი აჩვენა. თითქმის იმიტომ, რომ ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

იუვენტუსის კიდევ ერთი ექსფეხბურთელი ჯონათან ბინოტო, რომელიც ტურინელთა რიგებში 1991-94 წლებში ირჯებოდა, დერბი იტალიასთან დაკავშირებით ასევე პირლოს აკრიტიკებს.

ჯონათან ბინოტო:

– იმედი მაქვს, პირლო საკუთარ გადაწყვეტილებებს გადახედავს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ტურინელები არასათანადოდ მოემზადნენ შეხვედრისთვის, რომელიც ამას საერთოდ არ იმსახურებდა. იყო პრობლემები თამაშის შექმნის თვალსაზრისით. კი, უდავოდ საინტერესო საყურებელი იყო რომელო ლუკაკუს და ჯორჯო კიელინის დაპირისპირება, თუმცა... სხვათა შორის, მინდორზე მატეის დე ლიხტის ყოფნის შემთხვევაში მე-2 გოლი შესაძლოა არ გასულიყო.

თუმცა, იუვენტუსი ვერ დაიწყებს მიკროფონთან იმაზე წუწუნს, რომ მას ვინმე აკლდა. შეხედეთ, რა შემადგენლობა და სკამი ჰყავს გუნდს. როგორი გვარები... ასე რომ, მწვრთნელს მოუწევს ნებისმიერ ვარიანტში რესურსს კიდევ ერთხელ გადახედოს და მისი სწორად გამოყენება დაიწყოს.

შეგახსენებთ, რომ იუვენტუსი სერია ა-ში 33 ქულით მე-5 ადგილზეა და პირველ პოზიციას 7 ქულა აშორებს. ანდრეა პირლოს გუნდის მთავარი პრობლემა არასტაბილურობაა, რაც გუნდზე დიდ გავლენას ახდენს. იტალიური მედია მიიჩნევს, რომ „ბებერი ქალბატონი“ ასეთი სუსტი, არადამაჯერებელი და უფანტაზიო 2010 წლის შემდეგ არ ყოფილა.

კონგოელი ვარსკვლავი

ეგვიპტეში ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. ყველა ვარსკვლავების კარგი თამაშის მოლოდინში იყო, მაგრამ ჩემპიონატის მთავარი ვარსკვლავი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელბურთელი ტიერი გოტიე მვუმბი გახდა.

არგენტინასთან მატჩი კონგოელებმა 22:28 წააგეს, ხოლო დანიასთან – 19:39. თუმცა, ყველას დაამახსოვრდა მვუმბის თამაში და წონა, რომელიც 130 კილოგრამს შეადგენს. მიუხედავად ჭარბი წონისა და გაბარიტებისა, კონგოელმა ორივე მატჩში 4-4 გოლი გაიტანა.

ტიერი გოტიე მვუმბი:

– ატარო ნაკრების მაისური, საამაყოა. არასოდეს მიფიქრია, რომ ერთხელ გამოვცდიდი ამას. აბსოლუტურად არაფერი გვაქვს დასაკარგი, ამიტომაც ყველაფერს გავაკეთებთ და ჩვენს თამაშს ვითამაშებთ. მეტოქეებსაც 2-2 ხელ-ფეხი აქვთ, როგორც ჩვენ. ჩვენი მიზანი, პირველ რიგში, გართობა და ამ ტურნირზე გადარჩენაა. ყველაფერს გავაკეთებთ და, შესაძლოა, ზოგიერთი გუნდი გავაბრაზოთ.

მვუმბი საფრანგეთის კლუბ დრეუსში თამაშობს, რომელიც მეოთხე დივიზიონის ბინადარია.

გიორგი კალანდია ღვაწლმოსილი პროფესიონალების დაფასებას ითხოვს

ისტორიკოსი გიორგი კალანდია ღვაწლმოსილი პროფესიონალების საკადრის დაფასებას ითხოვს:

– ჯულიეტა ვაშაყმაძის, დავით სოკოლოვის ან თუნდაც მზექალა შანიძის რანგის პროფესიონალების ღვაწლის დაფასება საკანონმდებლო დონეზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი! აი, მაშინ ვართ საზოგადოება!

გიორგი გაბუნია ნიჭიერი კაცია, ძალიან მტკივნეული და ამაღელვებელი ამბის თანაზიარი გაგვხადა, თუმცა საღათას ძილით მძინარე ქართულ საზოგადოებას მინდა ვკითხო – სად იყო ეს საზოგადოება მაშინ, როცა ქალბატონ ჯულიეტამდე რამდენიმე კვირით ადრე, ასევე ღვაწლმოსილი და ძვირფასი დონარა კინწურაშვილი გამოეთხოვა წუთისოფელს? როგორ ფიქრობთ, ის დაფასებული, დანახული და მოფერებული წავიდა ამ ქვეყნიდან?!

როგორ ფიქრობთ, დაფასებული ემშვიდობებიან ამ ქვეყანას ღვაწლმოსილი ექიმები, არქეოლოგები, რესტავრატორები? რა ქნან ამ ადამიანების შვილებმა და ოჯახის წევრებმა, რომლებსაც არ აქვთ უნარი და სახსარი იმისა, რომ ფართო საზოგადოებას თავიანთი გულისტკივილი უთხრან, თავიანთი დარდი გაუზიარონ?

რამდენიმე დღის წინ ერთი, აწ გარდაცვლილი მხცოვანი არქივარიუსის ქალიშვილმა დამირეკა და დედამისის ანდერძი გამიზიარა – „თავისი ნაშრომი შენ და შენს ორგანიზაციას დაუტოვა გამოსაქვეყნებლად, თავისიანებისაგან აღმაშფოთებელი უყურადღებობის მსხვერპლი იყო და გულნატკენი წავიდაო ამ ქვეყნიდან!“ – მაშინ კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ პროფესიული სოლიდარობის არ არსებობა შიგნიდან ჭამს და ხრავს ჩვენს არ შემდგარ საზოგადოებას! რადგან პროფესიული სოლიდარობა ითვალისწინებს სწორედ შენი წინამორბედის, ღვაწლმოსილის დაფასებას!

ცოდვა გამხელილი სჯობს, ქართულ ჟურნალისტიკასაც თავისი წილი დანაშაული მიუძღვის ჯულიეტა ვაშაყმაძის დარი კორიფეების დაუფასებლობაში! რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ბულინგსა და ჭორაობას გამოდევნებულ მასმედიას ძირითადი, ღირებული, მარადიული თემები და ადამიანები დაავიწყდა...

რამდენიმე ჩემი კოლეგა და მათი მეცადინეობა რომ არ ყოფილიყო, ახსოვდა კი ვინმეს დავით სოკოლოვი?! რამდენიმე თვის წინ ჩემი ერთი კოლეგა და მეგობარი საჯაროდ მოთქვამდა დიდი რეზო თაბუკაშვილის ოპერატორის გაუსაძლის მდგომარეობაზე, მაგრამ მაშინაც საღათას ძილით ეძინა საქართველოს...

ქვეყანა, სადაც 30-ზე მეტი ფესტივალი იმართება, რა გახდა, ამ სათვალავს ერთი-ორი რომ ჩამოვაკლოთ და წელიწადში ერთხელ პროფესიულმა ორგანიზაციებმა, უწყებებმა, სამინისტროებმა დარგის ყველაზე თვალსაჩინო, მხცოვანი ადამიანები საჯაროდ და სახალხოდ დააჯილდოვონ! რა გახდა ამ მადლიერების ტრადიციად ქცევა?!

ამ მხრივ კატასტროფაა კანონმდებლობაში! რომ გინდოდეს, შენს ყოფილ, ღვაწლმოსილ თანამშრომელს საახალწლო საჩუქარს ვერ გაუკეთებ, ვერ გაუგზავნი ამანათს, ერთჯერად თუ მრავალჯერად დახმარებას! ვიცი ეს, პირადად გამომიცდია, ათასი რამე უნდა მოიგონო იმისათვის, რომ შენი ყოფილი, ასაკოვანი თანამშრომელი ფინანსურად თუნდაც წელიწადში ერთხელ დაჯილდოვო!

ვიღაცა იტყვის, კანონის გარეშეც უნდა ხდებოდეს ასეთი ამბები! არა, ბატონებო, კანონი საზოგადოების დეკლარირებული ნებაა, რომელსაც რეგულარული ხასიათი აქვს, ეს უკანასკნელი კი ყველაზე მეტად გვჭირდება. იქნებ ოდესმე გავთავისუფლდეთ იმპულსური ქმედებებისაგან, რომელიც დღეს უკვე მხოლოდ ფეისბუქ „ემოჯებით“ შემოიფარგლება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ეროვნულმა არქივმა ქართულ თეატრს ონლაინ გამოფენა მიუძღვნა

„ფრაგმენტები ქართული თეატრის ისტორიიდან“ – ასე უწოდა ონლაინ გამოფენას საქართველოს ეროვნულმა არქივმა.

ქართული თეატრის დღე გიორგი ერისთავის თეატრის პირველ წარმოდგენას უკავშირდება. 1850 წელს გიორგი ერისთავმა საკუთარი პიესა „გაყრა“ სცენაზე გააცოცხლა. ქართული პროფესიული თეატრი სწორედ ამ სპექტაკლით დაიბადა.

ეროვნული არქივის ონლაინ გამოფენაზე წარმოდგენილია ქართული პროფესიული თეატრის პირველი დადგმის „გაყრის“ მინიატურები, რომელიც ნაწარმოების ხელნაწერს ახლავს. გეორგ კორადინის მიერ 1850 წელს შესრულებული მინიატურები სპექტაკლის სცენებს ასახავს.

ონლაინ გამოფენაზეა ქართული თეატრის ისტორიის ამსახველი ფოტოები, აფიშები, პროგრამები და სხვა დოკუმენტები, რომელთაც საქართველოს ეროვნული არქივი ინახავს.

ოლიმპიური ჩემპიონების მემორიალი სენსაციურად დაიწყო

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის რიგით მე-16 მემორიალური ტურნირი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დაიწყო და პირველი ტურის 4 მატჩი გაიმართა.

ტურნირის მონაწილე 12 გუნდი 4 ჯგუფშია თავმოყრილი და ნახევარფინალში გასასვლელად პირველ ადგილზე გასვლაა საჭირო. გამართულ პირველ ტურში თითოეული ჯგუფის 2 მონაწილე თამაშობდა, 1 კი, ისვენებდა.

მემორიალზე ბათუმის გარდა სუპერლიგის ყველა და ა ლიგის 2 გუნდი – ორბი და მეგა მონაწილეობენ. სწორედ მეგა გახდა პირველი ტურის გმირი გუნდი, რომელმაც სუპერლიგის მიმდინარე ცხრილში მე-4 ადგილზე მყოფი ცხუმ-აფხაზეთი დაამარცხა – 84:79.

არადა, ა ლიგა 5 თებერვალს იწყება და მის მონაწილე გუნდებს თამაშის გამოცდილება თითქმის არ გააჩნიათ. მეგამ კი ადგა და ისეთ გუნდს სძლია, რომელსაც სუპერლიგის სამეულში მოხვედრის ამბიცია და პირველი წრის გათვალისწინებით, ამის რეალური შესაძლებლობაც აქვს.

ახალგაზრდა მწვრთნელის, გუგა პატარაიას გაწვრთნილი მეგას გამარჯვება იმითაც ფასობს, რომ გუნდმა 24-ქულიანი უპირატესობის (48:24) განიავებისა და ბოლო პერიოდში 6 ქულით ჩამორჩენის შემდეგ, მოახერხა და კარგად დაწყებული საქმე წარმატებით დაადგირგვინა. მოულოდნელობის ეფექტით გამოწვეული დაბნეულობა ცხუმ-აფხაზეთის კალათბურთელებმა დაძლიეს და 24-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ მოახერხეს ჯერ ამ უზარმაზარი დეფიციტის გაბათილება და შემდეგ დაწინაურება. შეხვედრის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე ცხუმელები 70:64 იგებდნენ და გამარჯვება ერთი ხელის გაწვდენაზე ჰქონდათ. სწორედ ასეთი ვითარებიდან მოახერხეს მეგას კალათბურთელებმა გამარჯვების მოპოვება.

ვასილ კუტალაძის საჯარიმოთი და ჯალენ ბრედლის სამქულიანით მეგამ ანგარიში გაათანაბრა და თამაში დამატებით დროში გადავიდა, სადაც ჯერმეინ მეროუსა და ასტონ ფრენსისის სიზუსტის წყალობით პატარაიას გაწვრთნილმა გუნდმა გაიმარჯვა. განსაკუთრებით გამოსარჩევია ფრენსისის შედეგიანობა, რომელმაც თავი 35 ქულას მოუყარა.

მე-2 ოვერტაიმი პირველი ტურის ბოლო შეხვედრაშიც დაფიქსირდა, რომელშიც მთელი თამაში მდევრის როლში მყოფმა ქუთაისმა დინამოელთა ძლევა მაინც მოახერხა. კოტე ტულუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა ბოლომდე იბრძოლეს და მაინც თავისი გაიტანეს. განსაკუთრებით ძირითადი დროის ბოლო წუთია გამოსარჩევი. შეხვედრის დასრულებამდე 15 წამით ადრე დინამოელები 3 ქულით იგებდნენ, როცა გიორგი ბარბაქაძემ 1 საჯარიმო ჩააგდო, მეორე გაუცუდდა, თუმცა გუნდური მოხსნა ქუთაისელებმა მოიპოვეს და ილია ლონდარიძემ დასრულებამდე 3 წამით ადრე საჯარიმოებით ანგარიში გაათანაბრა.

დამატებით დროში ქუთაისელებმა გაილაღეს და 5-წუთიანი ექსტრაპერიოდი 24:7 მოიგეს. საბოლოოდ იმერულმა კლუბმა 92:75 გაიმარჯვა და ჯგუფიდან გასასვლელად მოზრდილი ნაბიჯი გადადგა.

მემორილზე მთავარ მწვრთნელად წარმატებული დებიუტი ჰქონდა ლევან ფაცაციას, რომელიც სათავეში ვერას ჩაუდგა და პირველ ტურში ტიტებს სძლია – 85:78. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, რომლის ბედიც ბოლო წუთებზე გადაწყდა. ვერელები თითქმის მთელი თამაშის მანძილზე ლიდერობდნენ, მდევარი ტიტები კი ბოლომდე, მაგრამ ამაოდ ცდილობდა გაბათილებას.

ვერელთა შორის 22 ქულითა და 14 მოხსნით საუკეთესო იყო ჯოშუა ჰავლი. 28 ქულით ბომბარდირი ბრაისონ სკოტი გახდა. 17 ქულა ლუკა მაზიაშვილმა ჩააგდო, გივი ბაქრაძის ანგარიშზე კი 5 ქულა და 12 შედეგიანი გადაცემა დაგროვდა. ტიტებში 28 ქულით ტაილან ბირტსი გამოირჩა, 20 ქულა და 16 მოხსნა ბრენდან აუგბორნსმა მიითვალა.

ოლიმპმა კი, ა ლიგის წარმომადგენელ ორბს შანსი არ დაუტოვა და 93:50 მოუგო. დავით როგავას გაწვრთნილ გუნდს კარგი მოთელვა გამოუვიდა, რადგან ამ შეხვედრაში წინაალმდეგობა ფაქტობრივად არ შეხვედრია. ოლიმპელები უფრო თსუ-სთან ჯგუფიდან გამსვლელ მატჩზე არიან ორიენტირებულნი.

ოლიმპელთა შორის ქულა მოედანზე გასულმა ყველა მოთამაშემ მოიპოვა, რომელთაგან უმეტესი – 18 – კახა ჯინჭარაძის ანგარიშზეა. სარგებლიანობის ინდექსით კი ლუკა კალატოზიშვილმა აჯობა ყველას, რომელმაც 16 ქულა, 18 მოხსნა და 2 დაფარება მითვალა.

ბითაძე მოედანს დაუბრუნდა

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გოგა ბითაძე მოედანს დაუბრუნდა. ინდიანა პეისერსის ქართველმა ცენტრმა ნბა-ს მიმდინარე სეზონში სულაც პირველი მატჩი ითამაშა. როგორც იცით, ბითაძე ტრავმირებული იყო და რეაბილიტაციას გადიოდა. ჩვენებური მოედანზე კლიპერსთან მატჩში გამოჩნდა, რომელიც ინდიანელებმა უშანსოდ – 96:129 წააგეს.

ბითაძემ კლიპერსთან 16 წუთი ითამაშა და ამ დროში 5 ქულა და 2 მოხსნა (1 შეტევაში, 1 დაცვაში) დააგროვა. გოგას 2 ჩაჭრა და 1 დაფარებაც ჰქონდა. გარდა ამისა, მან ერთხელ დაკარგა ბურთი და ერთხელ ესროლა სამქულიანი, თუმცა არაზუსტად. მან ორი ორქულიანი და ერთი საჯარიმო ჩააგდო.

კლიპერსმა თამაში ადვილად მოიგო. დიდწილად ეს იმის დამსახურებაა, რომ მასპინძლებმა 19 სამიანი ჩააგდეს (39 მცდელობიდან, 48,7 %). ყველაზე პროდუქტიულები პოლ ჯორჯი, მარკუს მორისი და ლუკ კენარდი იყვნენ 20-20 ქულით. კავაი ლეონარდის აქტივში 17 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასია. პეისერსიდან საუკეთესოები დუგ მაკდემოტი (23 ქულა) და დომანტას საბონისი (19 ქულა, 14 მოხსნა) იყვნენ.

რუსები კვარაცხელიას ევროპაში აგდებენ

საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის რუბინის 19 წლის ნახევარმცველ ხვიჩა კვარაცხელიას ევროპაში მოსალოდნელ ტრანსფერზე უკვე კარგა ხანია იწერება.

ჩვენებურის ტრანსფერით დაინტერესებულ ევროპულ კლუბებს შორის დასახელებული იყო დორტმუნდის ბორუსია, ესპანური სევილია, იტალიური გუნდები – უდინეზე, სასუოლო და ტორინო, ასევე ავსტრიული ზალცბურგი და ბელგიური გენტი.

ჯერჯერობით ხვიჩა ისევ რუბინშია და გუნდთან ერთად თურქულ შეკრებაზე იმყოფება. თუმცა, თავად რუსებიც კი თვლიან, რომ კვარაცხელიას იქ დარჩენა სასურველი არ არის.

ფეხბურთელები, რომლებისთვისაც რუსეთის პრემიერლიგაში დაყოვნება მავნებელია – ასეთი სათაური მისცა ერთ-ერთმა რუსულმა პორტალმა სტატიას, სადაც ქართველ ტალანტზე წერს:

– გასაგებია, რომ რუბინი ახლა საკმაოდ მოკრძალებულია საიმისოდ, რათა კვარაცხელია დიდხანს შეინარჩუნოს. წინადადებები საკმარისადაა, მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რუსეთში დიდხანს დარჩენას თავად ხვიჩაც არ აპირებს – ამის შესახებ საქართველოს 2020 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, რომელსაც 20 წელი თებერვალში უსრულდება, თავად ისაუბრა.

ყაზანურ კლუბში სწორად უდგებიან მთავარი ტალანტის განვითარებას და მის სწრაფვას, თავი ევროპაში გამოსცადოს. რუბინის გენერალური დირექტორი ამბობს, რომ მათ მხოლოდ ფინანსები არ აინტერესებთ, არამედ ისიც, რომ ფეხბურთელი გაიზარდოს და განვითარდეს.

როგორც ხედავთ, ხვიჩას სასწრაფოდ გაყიდვა ყაზანელების უპირველესი ამოცანა არაა, მაგრამ მსუყე წინადადებას, რომელიც ყველა მხარეს (მათ შორის აგენტს) დააკმაყოფილებს, მომავალ ზაფხულს ლამაზი ტრანსფერის ორგანიზება შეიძლება მოჰყვეს. თუმცა, არსებობს საფრთხე, რომ კვარაცხელია მენტალურად ჯერ ბოლომდე არ არის გაზრდილი და რუბინს მისი გამობრძმედა რუსეთის პრემიერლიგაში კიდევ მოუწევს. ვნახოთ, როგორი იქნება გენიოსის პროგრესი გაზაფხულზე. ხვიჩას წასვლა კი უახლოეს 1-2 წელიწადში მაინც გარდაუვალი გვგონია.

ხვიჩა კვარაცხელია რუსეთში 2019 წლის თებერვალში გადაბარგდა და სეზონი იჯარით მოსკოვის ლოკომოტივში ჩაამთავრა, იმავე წლის ზაფხულში კი ყაზანის რუბინში გადავიდა, რომელთანაც კონტრაქტი 2024 წლის ზაფხულამდე გააფორმა. ახალგაზრდა ქართველმა ფეხბურთელმა, რომელსაც ტრანსფერმარკეტი 10 მილიონ ევროდ აფასებს, მიმდინარე სეზონში რუსეთის ჩემპიონატის 16 მატჩში ითამაშა. მისი სტატისტიკა ასეთია: 2-2 გოლი და პასი, ასევე 3 პენალტიც მოიპოვა.

ყაზანის რუბინს რუსეთის პრემიერლიგაში ჩატარებული 19 მატჩის შემდეგ 28 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-9 პოზიციას იკავებს.

ალაბა რეალში გადადის?

ესპანური პრესა გადაწყვეტილად წერს, რომ მიუნხენის ბაიერნის ავსტრიელი მცველი დავიდ ალაბა კარიერას მადრიდის რეალში გააგრძელებს. ალაბა უკვე იმყოფებოდა ესპანეთის დედაქალაქში და საბოლოო მოლაპარაკებით წერტილი დაუსვა კიდევ დარჩენილ რამდენიმე კითხვას – ავსტრიელ ფეხბურთელთან რეალმა 4-წლიანი კონტრაქტი შეათანხმა, ფეხბურთელი „ბლანკოსს“ ზაფხულში შეუერთდება.

ალაბა ივლისში კიდევ ერთ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მომავალ სეზონს რეალთან ერთად დაიწყებს.

ესპანელი ანალიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ალაბას ტრანსფერი მადრიდის რეალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ის უდიდესი გამოცდილების ვარსკვლავია და სამეფო კლუბს სწორედ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელები სჭირდება.

გერმანული მედიის ინფორმაციით კი, ალაბას და რეალის ამბავი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და ყველაფერი ბარსელონაში გასამართ არჩევნებზეა დამოკიდებული.

მედიამ ავსტრიელი ფეხბურთელის მამასა და აგენტთან ისაუბრა. შედეგად, ირკვევა, რომ ჯერ „ბლანკოსთან“ არანაირი შეთანხმება არ მიღწეულა.

28 წლის ფეხბურთელის აგენტი, პინი ზაჰავი ბარსელონას საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოცდას აპირებს და იმ შემთხვევაში, თუ მას ჟოან ლაპორტა მოიგებს, აგენტს კატალონიურ კლუბთან მოლაპარაკებები სურს.

ამჟამად „ბლაუგრანას“ ალაბას ხელფასის გადასახდელი ფული არ აქვს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ, დიდი ალბათობით, კლუბი რამდენიმე ფეხბურთელს გაყიდის, ალაბას გადაბირების საკითხი უფრო რეალური გახდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 2. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 3. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 4. ვეტექიმის ძველი სახელწოდება; 5. სოფელი საჩხერის რაიონში; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 11. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 12. ქიმიური ელემენტი, მსუბუქი ლითონი; 15. უბანი თბილისში; 16. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 17. თვითმფრინავის ტრაექტორია დაშვებისას; 20. ყოველკვირეული ჟურნალი საქართველოში.

თარაზულად: 6. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 8. სიკო დოლიძის კინოკომედია; 9. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. სახელმწიფო ჰიმალაებში; 18. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 21. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად; 22. მოგონილი, შეთხზული რამ; 23. ქუჩაში მოწყობილი ბანკის სალარო –ავტომატი; 24. ამერიკული წარმოების ინდივიდუალური რეაქტიული ჭურვი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხილარი; 2. კარე; 3. შერმადინი; 4. ხარჩო; 5. ჰიჩკოკი; 8. სომონი; 9. ალტიმეტრი; 12. სუძუკი; 14. სამაია; 16. ისანი.

თარაზულად: 1. ხვანჭკარა; 6. მეცენატი; 7. ლუქსორი; 9. არემჯი; 10. პოლო; 11. ლორნეტი; 13. ტესტი; 15. რუბიკი; 17. დიადემა; 18. კურაგა; 19. დევიზა; 20. გინიოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხონთქარი; 2. ფერხისა; 3. სტუკო; 4. ლიგნიტი; 5. თამბაქო; 10. პასკვილი; 11. ეფრემვერდი; 12. ლიკეუმი; 15. პარტიტურა; 16. სკეტჩი; 17. ბურნაკუ; 20. ალუჩა.

თარაზულად: 6. კონცენტრატი; 7. ზინდანი; 8. ბრონქსი; 9. რამოსი; 13. მოლა; 14. აფონია; 18. დეპორტივო; 19. ბურჟე; 21. ფლეში; 22. ფიორდი; 23. კუსტურიცა; 24. ასათიანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 იანვარი

აშშ დოლარი — 3.2994	ევრო — 3.9801
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4674	100 რუსული რუბლი — 4.4446

ამინდის პროგნოზი 20 იანვრისათვის

21 იანვრიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება

მაია ბურჭულაძის სერიალის

„დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“

7-ტომეული

21 იანვრიდან ..... ტომი 1
25 იანვრიდან..... ტომი 2
28 იანვრიდან..... ტომი 3
1 თებერვლიდან ..... ტომი 4
4 თებერვლიდან..... ტომი 5
8 თებერვლიდან..... ტომი 6
11 თებერვლიდან..... ტომი 7

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

რეალის ხელმძღვანელობა ზიდანით უკმაყოფილოა

ესპანეთის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ზინედინ ზიდანმა შესაძლოა თანამდებობა დატოვოს, თუ რეალი წელს ტიტულს ვერ მოიგებს.

რეალის ხელმძღვანელობა ზიდანის მუშაობით ბოლომდე კმაყოფილი არ არის და თვლის, რომ რეალი ესპანეთის ჩემპიონატში ზედმეტად ბევრ ქულას კარგავს. გარდა ამისა, არსებობს ჭორები, რომ ზიდანს რეალის რამდენიმე ფეხბურთელთან კონფლიქტი აქვს, თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დადასტურებულა.

მბაპეს მომავალი გაურკვეველია

პსჟ-ს ფორვარდის კილიან მბაპეს მომავალი ჯერ გაურკვეველია, რადგან ფეხბურთელს გადაწყვეტილება არ მიუღია. მბაპეს პსჟ-სთან კონტრაქტი ორ წელიწადში უმთავრდება და პარიზელებმა მას რამდენჯერმე შესთავაზეს ახალი ხელშეკრულება, თუმცა ჯერჯერობით კილიანი ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს და ამიტომ ხშირია ჭორები იმის შესახებ რომ ის შესაძლოა სხვა გუნდში გადავიდეს, მაგალითად, მადრიდის რეალში, რომელიც დიდი ხანია მის ყიდვას აპირებს.

მესიმ შესაძლოა ორი შეხვედრა გამოტოვოს

ბარსელონას კაპიტანმა ლიონელ მესიმ შესაძლოა ორი შეხვედრა გამოტოვოს დისკვალიფიკაციის გამო. მესიმ ბილბაოს ატლეტიკთან წითელი ბარათი მიიღო და ესპანეთის საფეხბურთო ფედერაცია მას განაჩენს რამდენიმე დღეში გამოუტანს.

თუ ლეომ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, მაშინ ის ერთ კოპა დელ რეის და ერთ ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრას გამოტოვებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 იანვრისათვის

ვერძი – ეს დღე აღინიშნება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ტენდენციებით. საქმიანი კონტაქტები ნაყოფიერი არ იქნება. ** კურო** – პასიური დღეა. მშვიდად იყავით და საკუთარი შეცდომების გამოსწორებაზე იფიქრეთ. **ტყუპები** – ერიდეთ კონფლიქტს ნათესავებთან. ემოციებს ნუ აჰყვებით. **კირჩხიბი** – წონასწორობა შეინარჩუნეთ. ეცადეთ, ეს დღე ბუნებასთან სიახლოვეს გაატაროთ. **ლომი** – ვარსკვლავები გმფარველობენ. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. **ქალწული** – საქმიან ურთიერთობებში პრობლემებია მოსალოდნელი. მიენდეთ ინტუიციას. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. მოსალოდნელია ურთიერთობის გაუარესება კოლეგებთან. **ღრიანცელი** – აქტიური დღეა. შრომა უთუოდ დაგიფასდებათ. უფროსობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. **მშვილდოსანი** – ახალ ნაცნობობას ერიდეთ. საქმიანი კონტაქტები მაქსიმალურად შეზღუდეთ. **თხის რქა** – თქვენი არასტანდარტული შეხედულებები სამსახურში ხელმძღვანელობისა და კოლეგების უკმაყოფილებას გამოიწვევს. დისციპლინა და ორგანიზებულობა დღის დევიზია. **მერწყული** – ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. ანგარიში გაუწიეთ სხვის აზრს. **თევზები** – ნებისმიერი წამოწყება სასიკეთოა. თქვენი ოპტიმიზმი გადამდებია.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– აგისრულდა ბავშვობის ოცნება?
– სამწუხაროდ, ამისრულდა.
– რატომ სამწუხაროდ?
– მინდოდა, მოზრდილი გავმხდარიყავი.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:
– მინდა, შენს ნათესავებზე დაგელაპარაკო.
– გისმენ.
– შე კარგ მ...ო, ჩემს 500 ლარს როდის დამიბრუნებ?!

●●●

ქალი კაცს ეკითხება:
– სად მიმათრევ?
– მმაჩის ბიუროში.
– რისთვის?
– შენი მართვის უფლების მისაღებად.

●●●

ქალმა ბაღში მოპირდაპირე სკამზე მჯდომი მამაკაცის დაჟინებული მზერა შენიშნა და ეუბნება:
– ისე მიყურებთ, თითქოს გონებაში მაშიშვლებთ.
– არა, რას ამბობთ! ჩემს გონებაში თქვენ უკვე იცვამთ, მე კი სიგარეტს ვაბოლებ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ბიჭო, შენს მეზობელ ვიქტორას ნიანგებზე მონადირეს რატომ ეძახიან?
– შენ, როგორც ჩანს, მაგის ქალები არ გინახავს.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– როგორაა შენი ჯანმრთელობის საქმე?
– კარგად, მგონი, ვირუსი არ მაქვს.
– და ფულის?
– კიდევ უკეთესად!
– ეგ როგორ?
– ნამდვილად არ მაქვს...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– ძვირფასო, მოდი, ამ წელს ყველაფერი ცუდი დავივიწყოთ!
– კარგი.
– ქალო, ვინ ხარ?

●●●

ცოლი ქმარს შესჩივის:
– მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს...
– რატომ?
– შენ ხვრინავდი, ძაღლი კი ყეფდა!
– აბა, რა გინდოდა, მე მეყეფა და ძაღლს ეხვრინა?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანიტა რაჭველიშვილმა ესპანეთში პირველად იმღერა

ოპერის ქართველმა მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა ახალი 2021 წელი სასიამოვნო სიახლით დაიწყო.

მეცო სოპრანომ მაესტრო ვინჩენცო სკალერასთან ერთად ესპანეთის ქალაქ ვალენსიის ოპერის თეატრში პირველად იმღერა.

მხატვარი გივი კასრაძე 91 წლის ასაკში გარდაიცვალა

91 წლის ასაკში მხატვარი და რეჟისორი გიორგი გივი კასრაძე გარდაიცვალა.

მან ქართული მულტიპლიკაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიტანა, ქართული ანიმაციური ფილმებისთვის ხატავდა და ყველა ბავშვისათვის საყვარელი არაერთი ანიმაციური პერსონაჟი შექმნა. იყო რეჟისორი ანიმაციური ფილმისა „კომბლე“, ასევე დამდგმელი მხატვარი ანიმაციური ფილმის: „ნიკო და სიკო“, ფილმისა „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“...

გივი კასრაძე საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და საქართველოს დამსახურებული მხატვარი გახლდათ.

დათო გველესიანი: „კულტურა კულტურის სამინისტრო არ არის!“

ასე მიაჩნია ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალს დათო გველესიანს და მთავრობას საჯარო წერილით მიმართავს:

– მივმართავ მთავრობას!

კულტურა, კულტურის სამინისტრო არ არის, არამედ ქართველი ხელოვანი ადამიანები.

ყველა ნორმალურ სახელმწიფოში მთავრობა პატრონობს მათ, ვინც ქმნის ამ სახელმწიფოსთვის კულტურულ ფასეულობებს ამ განსაკუთრებულად რთულ პერიოდში.

სანამ ბიუჯეტს განიხილავდეთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ჩვენი, ქართველ ხელოვანთა კავშირის მოთხოვნა.

მჯერა თქვენი გულისხმიერების.

გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ ჩერქეზულად ითარგმნა

მწერლისა და პოეტის გიორგი კეკელიძის ზღაპრები „თომას ზღაპრები“ ჩერქეზულად ითარგმნა. სასიხარულო ინფორმაცია გიორგი კეკელიძემ თავად გაავრცელა:

– კარგი ამბავი შევიტყვე: ჩემი „თომას ზღაპრები“ ჩერქეზულად ითარგმნა ლარისა ტუბწყავას მიერ და იორდანიაში გამოიცემა, სადაც ჩერქეზთა დიდი დიასპორაა. აქამდე ზღაპრები გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ჩინეთსა და თურქეთში დაიბეჭდა. მალე ქართულად ზღაპრების მეორე წიგნი „სხვაც ის ამბავი“ გამოვა.

სალომე კორკოტაშვილს დეზინფორმაციას უვრცელებენ



მომღერალ სალომე კორკოტაშვილს დეზინფორმაციას უვრცელებენ, თითქოს ის და მისი მუსიკოსები სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში დაზარალებულთა დასახმარებელ კონცერტში მონაწილეობდნენ:

– გვინდა გამოვეხმაუროთ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ჩვენ ვმონაწილეობდით სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში დაზარალებულთა დასახმარებელ კონცერტში – აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და გავრცელებული პოსტერი შეცდომით არის შედგენილი. ჩვენ ვემიჯნებით ყველანაირ ძალადობას, მით უმეტეს, ომს და ვუთანაგრძნობთ ორივე მხრიდან დაღუპულთა ოჯახებს, თუმცა არ ვგეგმავთ მონაწილეობის მიღებას რაიმე სახის ღონისძიებაში რომლის შესახებაც ამომწურავი ინფორმაცია არ გვექნება. მადლობა ყურადღებისთვის, გისურვებთ მშვიდობას და სიყვარულს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ›



შვეულად: 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. პატარა ბუ. 3. კრებული, სადაც მოთავსებულია სხვადასხვა ავტორების რჩეული ნაწარმოებები; 4. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 5. იტალიელი მოდელიორი; 8. ყოველდღიური ან პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 14. მუსლიმთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. ბრაზილიელი მწერალი.

თარაზულად: 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. წვრილფეხა საქონლის ნაწლავებისგან დამზადებული ქირურგიული ძაფი, რომელსაც შიგნითა ნაკერების დასადებად იყენებენ; 9. წყალქვეშა სამუშაოებისთვის განკუთვნილი ჰერმეტული კამერა; 10. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 11. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი; 13. მოკლე ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. ცნობილი პოლონელი ავტომრბოლელი; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. ტბა, კანტონი, ქალაქი შვეიცარიაში; 19. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა